მომხმარებლის უფლებების შესახებ/ დირექტივა 2011/83/EC

შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი:		საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:				
ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83 დირექტივა მომხმარებლის უფლებების შესახებ, რომელიც ცვლის საბჭოს 93/13 და ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44 დირექტივებს და აუქმებს საბჭოს 85/577/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7 დირექტივებს.		1. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ 2. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ სშ - სრულად შესაბამისი ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი შ - შეუსაბამო ას - არასავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი	ტექსტი	კანონი	მუხლი	ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნა
1	**საგანი** წინამდებარე დირექტივის მიზანია, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის გზით, შიდა ბაზრის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა, მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გარკვეული ასპექტების დაახლოების გზით.	1	1	ამ კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად მომხმარებლის უფლებების სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა, დაცვის სამართლებრივი მექანიზმის დადგენა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის განვითარების ხელშეწყობა.	სშ	

2.1	**განმარტებები** წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები: „მომხმარებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით განსაზღვრულ ხელშეკრულებაში მოქმედებს მიზნებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება მის ვაჭრობას, ბიზნესს, ხელობას ან პროფესიას;	1	4	ზ) მომხმარებელი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს პროდუქტს, უპირატესად, პირადი ან საყოფაცხოვრებო მოხმარების და არა სავაჭრო სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით.	სშ	
2.2	„მოვაჭრე“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მიუხედავად მისი კერძო ან საჯარო საკუთრებაში არსებობისა, რომელიც თავად, მათ შორის მისი სახელით ან მის ნაცვლად მოქმედი პირის საშუალებით, მოქმედებს წინამდებარე დირექტივით განსაზღვრულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული, მისი ვაჭრობის, ბიზნესის, ხელობის ან პროფესიის მიზნებისთვის;	1	4	ვ) მოვაჭრე - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ასევე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან დავალებით;	სშ	
2.3	„საქონელი“ გულისხმობს ნებისმიერ მატერიალურ მოძრავ ნივთს, გარდა აღსრულების გზით ან სხვაგვარად, კანონის საფუძველზე გაყიდული ნივთისა; წყალი, გაზი და ელექტროენერგია უნდა ჩაითვალოს საქონლად წინამდებარე დირექტივის განმარტებით, როდესაც ისინი იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით;	1	4	თ) პროდუქტი - ნებისმიერი მომსახურება ან მოძრავი ნივთი, ასევე, მასში განთავსებული და/ან ელექტრონული ფორმით გავრცელებული ქონებრივი სიკეთე;	**ნშ**	2011/83 დირექტივის პრეამბულა: „(19) If digital content is supplied on a tangible medium, such as a CD or a DVD, it should be considered as goods within the meaning of this Directive.” დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე ნაწილი, იმიტომ არ არის ასახული კანონპროექტში, რომ

						კანონპროექტი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას და ტერმინი ვერ განიმარტება მხოლოდ 2011/83 დირექტივის მიზნისთვის. კანონი გავრცელდება ყველაფერზე, გარკვეული გამონაკლისების დათქმით, და არა მხოლოდ ისეთ საქონელზე, რომელიც იყიდება შეზღუდული მოცულობით.
2.4	„მომხმარებლის თავისებურებებით დამზადებული საქონელი“ გულისხმობს საქონელს, რომელიც არ არის დამზადებული ქარხნული წარმოებით და შექმნილია მომხმარებლის მიერ გაკეთებული არჩევანის ან გადაწყვეტილების საფუძველზე;	1	16.2	გ) მიწოდებული პროდუქტი დამზადებულია მომხმარებლის ინდივიდუალური შეკვეთით ან აშკარად მორგებულია მის პირად საჭიროებებს;	სშ	ტერმინი არ არის ცალკე განმარტებული, მაგრამ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებით დგინდება მისი განმარტება.
2.5	„ნასყიდობის ხელშეკრულება“ გულისხმობს ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად მოვაჭრე მომხმარებელს გადასცემს ან იღებს ვალდებულებას გადასცეს საკუთრება საქონელზე და მომხმარებელი იხდის მის საფასურს ან იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მისი საფასური, მათ შორის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის ობიექტებს წარმოადგენს, როგორც საქონელი, ასევე, მომსახურება;	2 2	327.3 477	ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც. 1. ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. 2. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს	სშ	

				შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. 3. თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე.		
2.6	„მომსახურების ხელშეკრულება“ გულისხმობს ნებისმიერ ხელშეკრულებას, გარდა ნასყიდობის ხელშეკრულებისა, რომლის შესაბამისად მოვაჭრე მომხმარებლისთვის უზრუნველყოფს მომსახურებას ან იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მომსახურება და მომხმარებელი იხდის მის საფასურს ან იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მისი საფასური;	2 2	327.3 629.1	ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.	სშ	
2.7	„დისტანციური ხელშეკრულება“ გულისხმობს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას, ორგანიზებული დისტანციური გაყიდვების ან მომსახურების მიწოდების სქემის ფარგლებში, მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურად ერთდროული დასწრების გარეშე, დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან მეტი საშუალების ექსკლუზიური გამოყენებით ხელშეკრულების	1	10.2	დისტანციური ხელშეკრულება იდება მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის მხოლოდ დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე საშუალების გამოყენებით, დისტანციური ნასყიდობის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზებული სქემის მეშვეობით და არ მოითხოვს მომხმარებლისა და მოვაჭრის ფიზიკურ თანყოფას.	სშ	

	გაფორმებამდე და მისი გაფორმების დროს;					
2.8	„სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულება“ გულისხმობს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას: (a) რომელიც იდება მოვაჭრისა და მომხმარებლის ერთდროული ფიზიკური დასწრებით, იმ ადგილას, რომელიც არ წარმოადგენს მოვაჭრის ბიზნესის ადგილს;	1	10.1	სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება გულისხმობს მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომელიც: ა) იდება მოვაჭრის სარეწის გარეთ და მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანყოფას;	სშ	
2.8	(b) რომლის დასადებად მომხმარებელმა გააკეთა შეთავაზება, (a) ქვეპუნქტში მითითებულ გარემოებებში;	1	10.1	ბ) იდება მოვაჭრის სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, მაგრამ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა ხელშეკრულების დადების თაობაზე ინდივიდუალური შეთავაზება უშალოდ მიიღო მოვაჭრის სარეწის გარეთ, მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკური თანყოფისას;	სშ	
2.8	(c) რომელიც , მოვაჭრის ბიზნესის ადგილას ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით იდება, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელს პირადად და ინდივიდუალურად მიმართეს მოვაჭრის ბიზნესის შენობის გარეთ, მოვაჭრისა და	1	10.1	ბ) იდება მოვაჭრის სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, მაგრამ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა ხელშეკრულების დადების თაობაზე ინდივიდუალური შეთავაზება უშალოდ მიიღო მოვაჭრის სარეწის	სშ	

	მომხმარებლის ერთდროული ფიზიკური დასწრებით; ან			გარეთ, მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკური თანყოფისას;		
2.8	(d) რომელიც იდება მოვაჭრის მიერ პროდუქტის მომხმარებლისთვის შეთავაზებისა და მიყიდვის მიზნით მოწყობილი ან ასეთი ეფექტის მქონე ექსკურსიის დროს;	1	10.1	გ) იდება ექსკურსიის დროს, რომელიც მოვაჭრის მიერ არის ორგანიზებული პროდუქტის გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით ან იწვევს ასეთ შედეგს.	სშ	
2.9	„ბიზნესის ადგილი“ გულისხმობს: (a) საცალო ვაჭრობის ნებისმიერ უძრავ ადგილს, სადაც მოვაჭრე მუდმივად ახორციელებს საკუთარ საქმიანობას; ან (b) საცალო ვაჭრობის ნებისმიერ მოძრავ ადგილს, სადაც მოვაჭრე ჩვეულად ახორციელებს საკუთარ საქმიანობას	1	4	ი) სარეწი - ნებისმიერი უძრავი ან მოძრავი ობიექტი, სადაც მოვაჭრე ჩვეულებრივ ეწევა სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო და პროფესიულ საქმიანობას;	სშ	
2.10	„ხანგრძლივი მატარებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ინსტრუმენტს, რომელიც მომხმარებელს ან მოვაჭრეს საშუალებას აძლევს შეინახოს პირადად მისთვის გამიზნული ინფორმაცია ისე, რომ მომავალში იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიზნებისთვის ადეკვატური დროის მონაკვეთის განმავლობაში და რომელიც იძლევა შენახული ინფორმაციის უცვლელად რეპროდუცირების საშუალებას;	1	4	ნ) ხანგრძლივი მატარებელი - ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხანგრძლივ შენახვასა და უცვლელ რეპროდუცირებას, ამ ინფორმაციის გამოყენებისთვის საჭირო დროის განმავლობაში.	სშ	
2.11	„ციფრული შინაარსი“ გულისხმობს მონაცემებს, რომლებიც წარმოებული და მიწოდებულია ციფრული ფორმით;	1	4	მ) ციფრული შინაარსი - მონაცემები, რომლებიც წარმოებული ან მიწოდებულია	სშ	

				ციფრული ფორმით;		
2.12	„ფინანსური მომსახურება“ გულისხმობს ნებისმიერი სახის საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო, პირადი საპენსიო, საინვესტიციო და საგადასახო მომსახურებას;	1	4	ლ) ფინანსური მომსახურება - ფინანსურ ინსტრუმენტებთან ან/და ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება;	სშ	
2.13	„საჯარო აუქციონი“ გულისხმობს გაყიდვის მეთოდს, როდესაც მოვაჭრე საქონელსა და მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს, რომლებიც ესწრებიან ან საშუალება აქვთ პირადად დაესწრონ აუქციონს, აუქციონერის მიერ მოწყობილი, განაცხადების გაკეთების გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი პროცედურით და სადაც ფასის წარმატებული განმცხადებელი ვალდებულია შეიძინოს საქონელი ან მომსახურება;	1	4	კ) საჯარო აუქციონი - გაყიდვის მეთოდი, რომლის დროსაც პროდუქტი მოვაჭრის მიერ შეთავაზებულია კონკურენტული და გამჭვირვალე განაცხადების გაკეთების მეშვეობით იმ მომხმარებლისთვის, რომელიც პირადად ესწრება აუქციონს და სადაც ყველაზე მაღალი ფასის განმცხადებელი ვალდებულია შეიძინოს პროდუქტი;	სშ	
2.14	„კომერციული გარანტია“ გულისხმობს მოვაჭრის ან მწარმოებლის (გარანტის) მიერ მომხმარებლისადმი აღებულ ნებისმიერ ვალდებულებას, გარდა მისი შესაბამისობის გარანტიასთან დაკავშირებული სამართლებრივი ვალდებულებისა, აანაზღაუროს გადახდილი თანხა ან გამოცვალოს, შეაკეთოს ან ნებისმიერი ფორმით მოემსახუროს საქონელს, თუ ის არ აკმაყოფილებს სპეციფიკაციებს ან ნებისმიერ სხვა მოთხოვნას, რომელიც არ უკავშირდება საგარანტიო განცხადებაში მოცემულ შესაბამისობას	1	4	დ) კომერციული გარანტია - მოვაჭრის ან მწარმოებლის (გარანტიის გამცემის) მიერ კანონისმიერი გარანტიის გარდა მომხმარებლის სასარგებლოდ დამატებით და უსასყიდლოდ ნაკისრი ვალდებულებები;	სშ	

	ან ხელშეკრულების გაფორმების დროს ან მის გაფორმებამდე არსებულ შესაბამის რეკლამას;					
2.15	„დაკავშირებული ხელშეკრულება“ გულისხმობს ხელშეკრულებას, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი იძენს დისტანციურ ხელშეკრულებასთან ან ბიზნესის ადგილის გარეთ დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საქონელს ან მომსახურებას და რომლის დროსაც აღნიშნული საქონელი მიწოდებულია ან მომსახურება უზრუნველყოფილია მოვაჭრის ან მესამე მხარის მიერ, მოვაჭრესა და მესამე მხარეს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.	1	10.3	დაკავშირებული ხელშეკრულებით მოვაჭრე იძენს პროდუქტს, რომელიც ურთიერთდაკავშირებულია დისტანციურ ან სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებასთან და თუ პროდუქტი მიწოდებულია მოვაჭრის ან მესამე პირის მიერ, მოვაჭრესა და მესამე პირს შორის შეთანხმების საფუძველზე.	სშ	კანონპროექტში ტერმინი ცალკე არ არის განმარტებული, მაგრამ მე-10 მუხლის დებულება, მას დირექტივის შესაბამისად განმარტავს.
3.1	წინამდებარე დირექტივა, მის დებულებებში მოცემული პირობების თანახმად და მათ ფარგლებში, ვრცელდება მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე. ის, ასევე, ვრცელდება წყლის, გაზის, ელექტროენერგიის ან ცენტრალური გათბობის მიწოდებაზე, მათ შორის, საჯარო მომსახურების მიმწოდებლის მიერ, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე.	1	2.1	ეს კანონი განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობაში შედის მოვაჭრესთან მისი პროდუქტის, უპირატესად, პირადი ან საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის გამოყენების მიზნით.	სშ	
3.2	თუ წინამდებარე დირექტივის რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება ევროკავშირის სხვა აქტის დებულებას, რომელიც არეგულირებს კონკრეტულ სექტორებს, უპირატესობა ენიჭება ევროკავშირის	1	2.3	მომხმარებლის უფლებების დასაცავად უპირატესობა ენიჭება იმ სპეციალურ კანონს, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს	სშ	

	აღნიშნული სხვა აქტის დებულებას და ვრცელდება აღნიშნულ კონკრეტულ სექტორებზე.			ითვალისწინებს. ეს დათქმა არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ ერთი და იმავე დარღვევისთვის სხვადასხვა ნორმატიული აქტით გათვალისწინებული სანქციების დუბლირება გამოიწვიოს.		
3.3	წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება ხელშეკრულებებზე: (a) სოციალური მომსახურების შესახებ, მათ შორის სოციალური საცხოვრისის, ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის და მუდმივი ან დროებითი დახმარების საჭიროების მქონე პირებისა და ოჯახების შესახებ, გრძელვადიანი სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით;				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული, რადგან იგი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.3	(b) ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, დირექტივის 2011/24/EU მე-3 მუხლის (a) პუნქტის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მიერ;				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული, რადგან იგი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.3	(c) აზარტული თამაშებისთვის, რაც მოიცავს ფულადი სახსრებით სანაძლეოს დადებას მომგებიან თამაშობებში, მათ შორის ლატარიაში, კაზინოს აზარტულ თამაშებსა და სანაძლეო გარიგებებში;				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული, რადგან იგი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.3	(d) ფინანსური მომსახურებისთვის;	1	16.1	ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება საფინანსო და სადაზღვევო სფეროში დადებულ ხელშეკრულებაზე,	ნშ	ასეთი გამონაკლისი დაწესებულია მხოლოდ ხელშეკრულებაზე ყოველგვარი საფუძვლის

				გარდა სარეწს გარეთ დადებული, ქონებით უზრუნველყოფილი საბანკო საკრედიტო ხელშეკრულებისა.		გარეშე უარის თქმასთან დაკავშირებულ გამონაკლისებზე. პროექტის დანარჩენი დებულებები ზოგადია და უნდა გავრცელდეს ყველაფერზე, რადგან კანონპროექტი რამოდენიმე დირექტივას მოიცავს.
3.3	(e) უძრავი ქონების ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების შექმნის, შეძენის ან გადაცემის შესახებ;				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული, რადგან კანონპროექტი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.3	(f) ახალი შენობების მშენებლობის, არსებული შენობების არსებითი ცვლილების და ცხოვრების მიზნით საცხოვრებლის დაქირავების შესახებ;				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული, რადგან კანონპროექტი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.3	(g) ტურისტული მომსახურების პაკეტების ხელშეკრულებებზე, რომელიც განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015/2302 დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით. ამ დირექტივის მე-6(7), მე-8(2), მე-6 და მე-19, 21-ე და 22-ე მუხლები ვრცელდება ევროკავშირის 2015/2302 დირეტქივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ტურისტულ პაკეტებზე, ამავე დირექტივის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში მოცემულ მოგზაურებთან დაკავშირებით.				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული, რადგან კანონპროექტი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.3	(h) რომლებიც შედის დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების პროდუტის, გადაყიდვისა და გადაცვლის				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის

	ხელშეკრულების გარკვეულ ასპექტებთან მიმართებაში, მომხმარებელთა დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 14 იანვრის დირექტივის 2008/122/EC რეგულირების სფეროში;					გათვალისწინებული, რადგან კანონპროექტი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.3	(i) რომლებიც, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობათა შესაბამისად, იქმნება საჯარო მოხელეს მიერ, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კანონიერი ვალდებულება და რომელმაც, ყოვლისმომცველი სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდებით, უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებელმა მხოლოდ ზუსტი სამართლებრივი განხილვისა და ხელშეკრულების რეგულირების არეალის გაცნობიერებით დადოს ხელშეკრულება.	1	2.5	ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება იმ ხელშეკრულებებზე, რომლითაც მოვაჭრე მოქმედებს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მინიჭებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრე მომხმარებელთან დებს ხელშეკრულებას, რომელშიც მოვაჭრის სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო და პროფესიული საქმიანობის ინტერესი უპირატესია.	სშ	
3.3	(j) სასურსათის, სასმელის ან სხვა საქონლის შესახებ, რომლებიც გამიზნულია საოჯახო მეურნეობაში მიმდინარე გამოყენებისთვის ან რომლის ხშირ და რეგულარულ ფიზიკურ მიწოდებას ახორციელებს მოვაჭრე მომხმარებლის სახლში, საცხოვრებელში ან სამუშაო ადგილზე;	1	5.4	ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება ყოველდღიური საჭიროების წვრილმან ყოფით გარიგებებზე, თუ მისი შესრულება ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე.	ნშ	ასეთი წვრილმანი პროდუქტისთვის გამონაკლისია მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მუხლში, რადგან ევროკავშირის ექსპერტის რეკომენდაციით, აღნიშნული პუნქტის გათვალისწინება სავალდებულო არ არის.

3.3	(k) მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურების შესახებ, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-19 და 22-ე მუხლების გარდა;				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული, რადგან კანონპროექტი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.3	(l) რომელიც იდება ავტომატური სავაჭრო აპარატების ან ავტომატიზირებული სავაჭრო მანქანების გამოყენებით;				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული, რადგან კანონპროექტი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.3	(m) რომელიც იდება ტელეკომუნიკაციების ოპერატორთან საზოგადოებრივი ტელეფონ-ავტომატის საშუალებით, მათი გამოყენების მიზნით ან რომელიც იდება მომხმარებლის მიერ ერთჯერადი კავშირის განსახორციელებლად ტელეფონით, ინტერნეტით ან ფაქსით.				შ	კანონპროექტით ასეთი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული, რადგან კანონპროექტი აერთიანებს რამოდენიმე დირექტივას.
3.4	წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია არ გამოიყენონ წინამდებარე დირექტივა ან არ შეინარჩუნონ ან დანერგონ ეროვნული დებულებები, რომლებიც შეესაბამება სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებებს, რომლითაც მომხმარებელი იხდის არაუმეტეს 50 ევროს. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში განსაზღვრონ ნაკლები ღირებულება.				ას	

3.5	წინამდებარე დირექტივა გავლენას არ ახდენს შიდასახელმწიფოებრივ ზოგად სახელშეკრულებო სამართალზე, როგორიცაა წესები ხელშეკრულების ნამდვილობის, ფორმირებისა და გავლენის შესახებ, რამდენადაც ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის ასპექტები არ რეგულირდება წინამდებარე დირექტივით.				სშ	
3.6	წინამდებარე დირექტივა არ ზღუდავს მოვაჭრეებს მომხმარებლებისთვის ისეთი სახელშეკრულებო შეთანხმების შეთავაზებაში, რომელიც აჭარბებს ამ დირექტივაში უზრუნველყოფილ დაცვას.				სშ	
4	წევრმა სახელმწიფოებმა, საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, არ უნდა შეინარჩუნონ ან დანერგონ დებულებები, რომლებიც სცილდება წინამდებარე დირექტივაში მოცემულ დებულებებს, მათ შორის, უფრო მეტად ან ნაკლებად მკაცრი დებულებები, მომხმარებელთა დაცვის განსხვავებული დონის უზრუნველსაყოფად, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დირექტივაში.				სშ	
5.1	მანამ, სანამ მომხმარებელი შეიზღუდება ხელშეკრულებით, რომელიც არ წარმოადგენს დისტანციურ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას ან სხვა შესაბამის შეთავაზებას, მოვაჭრე მომხმარებელს უზრუნველყოფს ნათელი და ყოვლისმომცველი ფორმის შემდეგი ინფორმაციით, თუ ინფორმაცია,	1	5.1	ხელშეკრულების დადებამდე, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად, მიაწოდოს შემდეგი უტყუარი და სრული ინფორმაცია, თუ ეს ინფორმაცია ისედაც ცხადი არ არის:	სშ	

	შინაარსიდან გამომდინარე, ისედაც არ არის აშკარა:					
5.1	(a) საქონლისა და მომსახურების ძირითადი მახასიათებლები, საინფორმაციო საშუალებასთან და საქონელთან ან მომსახურებასთან შესაბამისობის ფარგლებში;	1	5.1	ა) პროდუქტის დასახელების, მწარმოებლის და პროდუქტის შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით.	სშ	
5.1	(b) მოვაჭრის ვინაობა, მაგალითად, მისი სავაჭრო სახელი, გეოგრაფიული მისამართი, სადაც ის არის დაფუძნებული და მისი ტელეფონის ნომერი;	1	5.1	ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ, ასევე, საკონტაქტო მონაცემები, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაცია, ასევე, იმ მოვაჭრის საკონტაქტო მონაცემებს, რომლის სახელითაც მოქმედებს პირი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	სშ	

5.1	(c) საქონლის ან მომსახურების ჯამური ფასი გადასახადების გათვალისწინებით, ან, როდესაც საქონლის ან მომსახურების თვისებებიდან გამომდინარე ფასი წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, საფასურის გამოთვლის წესი, ასევე, არსებობის შემთხვევებში, ტვირთის, მიწოდების ან საფოსტო დამატებითი გადასახდელები, ან როდესაც აღნიშნული გადასახდელები წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, ფაქტი, რომ ასეთი დამატებითი გადასახდელები არსებობს;	1	5.1	დ) პროდუქტის სრული ფასის შესახებ, ძირითადი და დამატებითი (მათ შორის ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟის და სხვ.) ხარჯების მითითებით. ასევე, თუ პროდუქტის ბუნებიდან გამომდინარე ასეთი ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია, მისი გამოთვლის წესი და ინფორმაცია, რომ დამატებითი ხარჯი შეიძლება წარმოიშვას.	სშ	
5.1	(d) არსებობის შემთხვევაში, გადახდის, მიწოდების და შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებები, დრო, რომლისთვისაც მოვაჭრე საქონლის მიწოდების ან მომსახურების შესრულების ვალდებულებას იღებს და მოვაჭრის საჩივრის მართვის პოლიტიკა;	1	5.1	ე) არსებობის შემთხვევაში გადახდის, პროდუქტის მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის შესახებ;	სშ	
5.1	(e) გარდა საქონლის შესაბამისობის სამართლებრივი გარანტიის არსებობის შეხსენებისა, შესაბამის შემთხვევაში, გაყიდვის შემდგომი მომსახურებისა და კომერციული გარანტიების არსებობა და პირობები;	1	5.1	ვ) კანონისმიერი გარანტიის და არსებობის შემთხვევაში - კომერციული გარანტიის შესახებ, ასევე, მომხმარებლის შემდგომი მომსახურების პირობების შესახებ;	სშ	

5.1	(f) ხელშეკრულების ხანგრძლივობა, არსებობის შემთხვევაში ან თუ ხელშეკრულებას გააჩნია განუსაზღვრელი ხანგრძლივობა ან ავტომატურად ხანგრძლივდება, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები;	1	5.1	ზ) არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, ხოლო თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული ან ავტომატურად განგრძობადია, ასეთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ;	სშ	
5.1	(g) არსებობის შემთხვევაში, ფუნქციონალურობა, მათი ციფრული შინაარსის შესაბამისი ტექნიკური დაცვის ზომები;	1	5.1	ი) ციფრული შინაარსის პროდუქტის ფუნქციური მახასიათებლების, მათ შორის მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე, ნებისმიერი ინფორმაცია ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;	სშ	
5.1	(h) არსებობის შემთხვევაში, ციფრული შინაარსის ნებისმიერი შესაბამისი თავსებადობა აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფასთან, რომლის შესახებაც მოვაჭრემ იცის ან გონივრულად მოსალოდნელია სცოდნოდა.	1	5.1	ი) ციფრული შინაარსის პროდუქტის ფუნქციური მახასიათებლების, მათ შორის მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე, ნებისმიერი ინფორმაცია ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;	სშ	

5.2	1-ლი პუნქტი, ასევე, ვრცელდება წყლის, გაზის ან ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულებებზე, როდესაც ის არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე, ცენტრალური გათბობის ან ციფრული შინაარსის მიწოდების ხელშეკრულებებზე, როდესაც ციფრული შინაარსი არ მიეწოდება მატერიალური საშუალებით.				სშ	ჩამოთვლილი, კანონპროექტის მიხედვით, გამონაკლისებში არ არის, შესაბამისად მასზე ყველაფერი გავრცელდება.
5.3	წევრ სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ 1-ლი პუნქტის გამოყენება ისეთ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც მოიცავს ყოველდღიურ გარიგებებს და რომლებიც სრულდება დაუყოვნებლივ, მათი დადების დროს.	1	5.4	ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება ყოველდღიური საჭიროების წვრილმან ყოფით გარიგებებზე, თუ მისი შესრულება ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე.	სშ	
5.4	წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ ან შეინარჩუნონ დამატებითი წინასახელშეკრულებო საინფორმაციო მოთხოვნები იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებსაც ეს მუხლი ეხება.				სშ	კანონმდებლობა ასეთ შესაძლებლობას იძლევა, რადგან აკრძალვა არ არსებობს. შესაბამისად მუხლის მითითება შეუძლებელია.
6.1	სანამ მომხმარებელი შეიზღუდება დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებით ან სხვა შესაბამისი შეთავაზებით, მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს იგი შემდეგი, ნათელი და ყოვლისმომცველი ფორმის ინფორმაციით:	1	11.1	დისტანციური და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებამდე, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს, მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით, მკაფიოდ და გასაგებად, მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:	სშ	

6.1	(a) საქონლისა და მომსახურების ძირითადი მახასიათებლები, საინფორმაციო საშუალებასთან და საქონელთან ან მომსახურებასთან შესაბამისობის ფარგლებში;	1	5.1	ა) პროდუქტის დასახელების, მწარმოებლის და პროდუქტის შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით.	სშ	
6.1	(b) მოვაჭრის იდენტობა, მაგალითად მისი სავაჭრო სახელი;	1	5.1	ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ, ასევე, საკონტაქტო მონაცემები, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაცია, ასევე, იმ მოვაჭრის საკონტაქტო მონაცემებს, რომლის სახელითაც მოქმედებს პირი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	სშ	
6.1	(c) გეოგრაფიული მისამართი, სადაც მოვაჭრე არის დაფუძნებული და მისი ტელეფონისა და ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, არსებობის შემთხვევაში, რათა მომხმარებელს მიეცეს მოვაჭრესთან სწრაფი კონტაქტის საშუალება და ჰქონდეს მასთან ეფექტური კომუნიკაცია და არსებობის შემთხვევაში, იმ მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი და ვინაობა, რომლის ნაცვლადაც მოქმედებს ის;	1	5.1	ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ, ასევე, საკონტაქტო მონაცემები, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაცია, ასევე, იმ მოვაჭრის საკონტაქტო მონაცემებს, რომლის სახელითაც მოქმედებს პირი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	სშ	

6.1	(d) მოვაჭრის საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული მისამართი, თუ ის (c) ქვეპუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფილი მისამართისგან განსხვავდება და შესაბამის შემთხვევაში, იმ მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი, რომლის ნაცვლადაც ის მოქმედებს და რომელზეც მომხმარებელს შეეძლება საჩივრით მიმართვა;	1	11.1	ა) მოვაჭრის ფაქტობრივი მისამართი (საწარმოს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), თუ ის განსხვავდება მოვაჭრის ადგილმდებარეობისაგან (საწარმოს იურიდიული მისამართისაგან), ასევე, მოვაჭრის ელ-ფოსტის მისამართი ფაქსისა და ტელეფონის ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელზე კომუნიკაციაც შეეძლება მომხმარებელს სწრაფად და ეფექტიანად და იმ მოვაჭრის ფაქტობრივი მისამართი და ვინაობა ვისი სახელითაც იგი მოქმედებს;	სშ	
6.1	(e) საქონლის ან მომსახურების ჯამური ფასი გადასახადების გათვალისწინებით ან, როდესაც საქონლის ან მომსახურების თვისებებიდან გამომდინარე ფასი წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, მისი გამოთვლის წესი, ასევე, არსებობის შემთხვევებში, ტვირთის, მიწოდების ან საფოსტო დამატებითი გადასახდელები ან ნებისმიერი სხვა საფასური ან, როდესაც აღნიშნული გადასახდელები წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, ფაქტი, რომ ასეთი დამატებითი გადასახდელები არსებობს.	1	5.1	დ) პროდუქტის სრული ფასის შესახებ, ძირითადი და დამატებითი (მათ შორის ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟის და სხვ.) ხარჯების მითითებით. ასევე, თუ პროდუქტის ბუნებიდან გამომდინარე ასეთი ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია, მისი გამოთვლის წესი და ინფორმაცია, რომ დამატებითი ხარჯი შეიძლება წარმოიშვას.	სშ	

6.1	(e) განუსაზღვრელი ხანგრძლივობის ხელშეკრულების ან გამოწერის შემცველი ხელშეკრულების შემთხვევაში ჯამური საფასური მოიცავს გადახდის პერიოდის ჯამურ ღირებულებას. როდესაც აღნიშნული ხელშეკრულებით გადასახდელი ფიქსირებული განაკვეთით არის, ჯამური ფასი, ასევე, გულისხმობს ჯამურ თვიურ ფასს. როდესაც ჯამური ფასი წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, ფასის გამოთვლის წესი;	1	11.1	ბ) განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, განვადებით ნასყიდობისას ან პროდუქტის გამოწერით მიღებისას პროდუქტის სრული ფასი, რაც მოიცავს სრულ ხარჯებს გადახდის თითოეული პერიოდისათვის, ხოლო, თუ სრული ფასის გამოთვლა წინასწარ შეუძლებელია, მისი გამოთვლის წესი. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ფიქსირებული გადასახადი, სრული ფასი უნდა აღნიშნავდეს, ყოველთვიურ სრულ გადასახადს;	სშ	
6.1	(f) ხელშეკრულების დადებისთვის დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების ღირებულება, როდესაც ის არ გამოითვლება ძირითადი სატარიფო განაკვეთით;	1	11.1	გ) ხელშეკრულების დადების დროს გამოყენებული დისტანციური კომუნიკაციის ხარჯი, თუ ხარჯი არ შედის ძირითად ფასში;	სშ	
6.1	(g) გადახდის, მიწოდების, შესრულების ღონისძიებები, დრო, რომლისთვისაც მოვაჭრე საქონლის მიწოდების ან მომსახურებების შესრულების ვალდებულებას იღებს და, საჭიროების შემთხვევაში, მოვაჭრის საჩივრის მართვის პოლიტიკა;	1	5.1	ე) არსებობის შემთხვევაში გადახდის, პროდუქტის მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის შესახებ;	სშ	
6.1	(h) ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული უფლების განხორციელების პირობები, ვადა და პროცედურები მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,	1	11.1	დ) იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები, ვადები, წესი და ინფორმაციის შესავსები ფორმა დანართ №1-ის მიხედვით;	სშ	

	ასევე, ხელშეკრულებაზე უარის თქმის I(B) დანართში მოცემული ფორმა;					
6.1	(i) არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მომხმარებელს ეკისრება საქონლის დაბრუნების ხარჯი და დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ საქონლის დაბრუნება მისი თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ჩვეულებრივ განხორციელდეს ფოსტის საშუალებით, მომხმარებელს ეკისრება საქონლის დაბრუნების ხარჯი;	1	11.1	ინფორმაცია, რომ დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია გაწიოს პროდუქტის უკან დაბრუნების ხარჯი, თუ პროდუქტის ბუნებიდან გამომდინარე მისი უკან დაბრუნება ფოსტით შეუძლებელია;	სშ	
6.1	(j) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ, თუ მომხმარებელი განახორციელებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნის გაკეთების შემდეგ, მას ეკისრება მოვაჭრისთვის მართებული ღირებულების გადახდა მე-14 მუხლის მე 3 პუნქტის შესაბამისად;	1	15.4	ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია: ა) მოვაჭრეს ან მის მიერ განსაზღვრულ მესამე პირს დაუბრუნოს პროდუქტი ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე შეტყობინების გაგზავნიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ თავად იკისრა პროდუქტის უკან წაღება; ბ) დაფაროს მხოლოდ პროდუქტის დაბრუნებასთან დაკავშირებული პირდაპირი (უშუალო) ხარჯი,	სშ	

				გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ თავად იკისრა ამ ხარჯის გაწევა ან მომხმარებელს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ პროდუქტის დაბრუნების შემთხვევაში ამგვარი ხარჯი წარმოიშობოდა. სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი მოხმარებელს მიეწოდება სახლში, მოვაჭრე ვალდებულია პროდუქტი საკუთარი ხარჯით წაიღოს უკან, თუ პროდუქტის ბუნების გამო შეუძლებელია მისი ფოსტით გაგზავნა.		
6.1	(k) როდესაც მე-16 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფილი არ არის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხმარებელი ვერ ისარგებლებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, ან არსებობის შემთხვევაში, გარემოებები, რომელთა შესაბამისად მომხმარებელი კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;	1	11.1	ე) თუ მე-16 მუხლის შესაბამისად, შეუძლებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ინფორმაცია რომ მომხმარებელი ვერ იტყვის ხელშეკრულებაზე უარს;	სშ	
6.1	(l) საქონლის შესაბამისობის სამართლებრივი გარანტიის არსებობის შეხსენება;	1	5.1	ვ) კანონისმიერი გარანტიის და არსებობის შემთხვევაში - კომერციული გარანტიის შესახებ, ასევე, მომხმარებლის შემდგომი მომსახურების პირობების შესახებ;	სშ	

6.1	(m) არსებობის შემთხვევაში, გაყიდვის შემდგომი დახმარების, მომსახურებისა და კომერციული გარანტიების არსებობა და პირობები;	1	5.1	ვ) კანონისმიერი გარანტიის და არსებობის შემთხვევაში - კომერციული გარანტიის შესახებ, ასევე, მომხმარებლის შემდგომი მომსახურების პირობების შესახებ;	სშ	
6.1	(n) დირექტივის მე-2 მუხლის (f) პუნქტის შესაბამისად, შესაფერისი ქცევის კოდექსის არსებობა და შესაბამის შემთხვევებში, მათი ასლების მოპოვების გზები;	1	11.1	ზ) ინფორმაცია, ქცევის კოდექსის არსებობის და მისი ხელმისაწვდომობის შესახებ;	სშ	
6.1	(o) არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების ხანგრძლივობა, ან თუ ხელშეკრულებას გააჩნია განუსაზღვრელი ხანგრძლივობა ან ავტომატურად ხანგრძლივდება, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები;	1	5.1	ზ) არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, ხოლო თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული ან ავტომატურად განგრძობადია, ასეთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ;	სშ	
6.1	(p) არსებობის შემთხვევაში, მომხმარებლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური ხანგრძლივობა;	1	5.1	თ) არსებობის შემთხვევაში მომხმარებლის ვალდებულებების და მათი შესრულების მინიმალური ვადის/მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ;	სშ	
6.1	(q) არსებობის შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ მოვაჭრის მოთხოვნის საფუძველზე გადასახდელი ან უზრუნველსაყოფელი დეპონირების ან სხვა ფინანსური გარანტიების არსებობა და პირობები;	1	11.1	თ) მოვაჭრის მოთხოვნის შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ წარსადგენი ან გადასახდელი ფინანსური უზრუნველყოფის პირობების შესახებ.	სშ	
6.1	(r) არსებობის შემთხვევაში, ფუნქციური მახასიათებლები, მათ შორის, ციფრული შინაარსის შესაბამისი ტექნიკური დაცვის ზომები;	1	5.1	ი) ციფრული შინაარსის პროდუქტის ფუნქციური მახასიათებლების, მათ შორის მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში,	სშ	

				ასევე, ნებისმიერი ინფორმაცია ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდა, არსებობის შემთხვევაში;		
6.1	(s) არსებობის შემთხვევაში, ციფრული შინაარსის ნებისმიერი შესაბამისი თავსებადობა აპარატულ და პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რომლის შესახებაც მოვაჭრემ იცის ან გონივრულად მოსალოდნელია რომ სცოდნოდა;	1	5.1	ი) ციფრული შინაარსის პროდუქტის ფუნქციური მახასიათებლების, მათ შორის მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე, ნებისმიერი ინფორმაცია ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდა, არსებობის შემთხვევაში;	სშ	
6.1	(t) არსებობის შემთხვევაში, მიმართვის შესაძლებლობა სასამართლოსგარეშე საჩივრით და ანაზღაურების მექანიზმით, რომელსაც ექვემდებარება მოვაჭრე და მასთან წვდომის მეთოდები.	1	11.1	ი) სადაც შესაძლებელია, ინფორმაცია, სასამართლოს გარეშე გასაჩივრების წესისა და ანაზღაურების მიღების შესახებ.	სშ	
6.2	1-ლი პუნქტი, ასევე, ვრცელდება წყლის, გაზის ან ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულებებზე, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე, ცენტრალური გათბობის ხელშეკრულებებზე ან ციფრული შინაარსის მიწოდების ხელშეკრულებებზე, რომელიც არ მიეწოდება მატერიალური საშუალებით.				სშ	ჩამოთვლილი, კანონპროექტის მიხედვით, გამონაკლისებში არ არის, შესაბამისად მასზე ყველაფერი გავრცელდება.
6.3	საჯარო აუქციონის შემთხვევაში, 1-ლი პუნქტის (b), (c) და (d) ქვეპუნქტებში	1	5.2	საჯარო აუქციონის შემთხვევაში, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“		

	მითითებული ინფორმაცია შესაძლებელია შეიცვალოს ეკვივალენტური დეტალებით აუქციონერის შესახებ.			და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ნაცვლად მომხმარებელს მიეწოდება ინფორმაცია აუქციონის ორგანიზატორის შესახებ.		
6.4	1-ლი პუნქტის (h), (i) და (j) ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაცია შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს I(A) დანართში მოცემული ხელშეკრულებაზე უარის თქმსთან, დაკავშირებული ტიპიური მითითებების საშუალებით. მოვაჭრეს შესრულებული აქვს 1-ლი პუნქტის (h), (i) და (j) ქვეპუნქტებში მითითებული საინფორმაციო მოთხოვნები, თუ მან აღნიშნული, სწორად შევსებული ინსტრუქციები მიაწოდა მომხმარებელს.				სშ	სავალდებულო არ არის.
6.5	1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაცია წარმოადგენს დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არ იცვლება, თუ სახელშეკრულებო მხარეები აშკარად არ შეთანხმდნენ სხვაგვარად.	1	11.2	ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და არ შეიძლება შეიცვალოს, გარდა იმ შემთხვევისა თუ მხარეები აშკარად გამოხატული ფორმით სხვაგვარად არ შეთანხმდნენ.	სშ	
6.6	თუ მოვაჭრე არ ასრულებს საინფორმაციო მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია დამატებით გადასახდელებთან და სხვა ხარჯებთან, 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტის შესაბამისად, ან საქონლის დაბრუნების ხარჯებთან, 1-ლი პუნქტის (i) ქვეპუნქტის შესაბამისად, მომხმარებელს არ ეკისრება აღნიშნული გადასახდელები ან ხარჯები.	1	5.6	თუ მოვაჭრე დაარღვევს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით, მე-11 მუხლის „გ“ და მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, მომხმარებელს არ დაეკისრება შესაბამისი დამატებითი ხარჯის გადახდა.	სშ	
6.7	წევრ სახელმწიფოებს მათ ეროვნულ კანონმდებლობაში შეუძლიათ	1	5.1	ხელშეკრულების დადებამდე, მოვაჭრე ვალდებულია	სშ	

	შეინარჩუნონ ან დანერგონ სახელშეკრულებო ინფორმაციასთან დაკავშირებული ენობრივი მოთხოვნები, რათა უზრუნველყონ მომხმარებლის მიერ ინფორმაციის მარტივად გაგება.			მომხმარებელს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად, მიაწოდოს შემდეგი უტყუარი და სრული ინფორმაცია, თუ ეს ინფორმაცია ისედაც ცხადი არ არის:		
6.8	წინამდებარე დირექტივაში მოცემული საინფორმაციო მოთხოვნები ემატება 2006/123/EC და 2000/31/EC დირექტივებში მოცემულ საინფორმაციო მოთხოვნებს და არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოებს დამატებითი საინფორმაციო მოთხოვნების დაკისრებაში, აღნიშნული დირექტივების შესაბამისად. თუ 2006/123/EC ან 2000/31/EC დირექტივის დებულება ეწინააღმდეგება წინამდებარე დირექტივის დებულებას ინფორმაციის შინაარსთან და მისი წარდგენის ფორმასთან დაკავშირებით, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე დირექტივის დებულებას, პირველი აბზაცის შეუზღუდავად.				ას	
6.9	რაც შეეხება ამ თავში მოცემულ საინფორმაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს.	1	5.5	მე-5, მე-6, მე-7, მე-9, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებით დადგენილი ინფორმირების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს.	სშ	
7.1	სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, მოვაჭრემ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა გადასცეს მომხმარებელს ქაღალდზე, ან, მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში,	1	12.1	სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრემ მე-11 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიაწოდოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე,	სშ	

	ხანგამძლე მატარებელზე. ინფორმაცია უნდა იკითხებოდეს მარტივ, გასაგებ ენაზე.			წერილობით, მკაფიოდ და გასაგებად, ქაღალდზე ან მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, სხვა ხანგრძლივ მატარებელზე.		
7.2	მოვაჭრე მომხმარებელს უზრუნველყოფს ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლით ან ხელშეკრულების დასტურს ქაღალდზე, ან, მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, სხვა ხანგამძლე მატარებელზე, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, მომხმარებლის წინასწარი გასაგებად გამოხატული თანხმობისა და აღიარების დასტურს მე-16 მუხლის (m) პუნქტის შესაბამისად.	1	12.2	მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ხელშეკრულების ხელმოწერილი ასლი ან ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი ქაღალდზე ან მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, სხვა ხანგრძლივ მატარებელზე.	სშ	
7.3	როდესაც მომხმარებელს სურს, რომ მომსახურების უზრუნველყოფა ან წყლის, გაზის, ელექტროენერგიის მიწოდება, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ან ცენტრალური გათბობის მიწოდება დაიწყოს მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდში, მოვაჭრე მომხმარებელს სთხოვს აღნიშნული გამოხატული მოთხოვნა წარადგინოს ხანგამძლე მატარებელზე.	1	12.3	თუ მომხმარებელი ითხოვს მომსახურების გაწევას მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, მან ასეთი მოთხოვნა მოვაჭრეს ინფორმაციის ხანგრძლივი მატარებლის საშუალებით უნდა მიაწოდოს.	სშ	
7.4	სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, როდესაც მომხმარებელი ცხადად მოითხოვს მოვაჭრის მომსახურებას რემონტის ან ტექნიკური უზრუნველყოფის განხორციელების მიზნით, რომლისთვისაც მოვაჭრე და მომხმარებელი დაუყოვნებლივ				შ	არ არის სავალდებულო.

	ასრულებენ თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხა არ აჭარბებს 200 ევროს: (a) მოვაჭრე მომხმარებელს უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (b) და (c) ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაციით და საფასურისა და მისი გამოთვლის წესის შესახებ ინფორმაციით, სავარაუდო ჯამურ საფასურთან ერთად, ქაღალდზე, ან, მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, სხვა ხანგამძლე მატარებელზე. მოვაჭრე უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (a), (h) და (k) ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას, მაგრამ შესაძლებელია არ გადასცეს ინფორმაცია ქაღალდზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე, თუ მომხმარებელი პირდაპირ გამოხატავს თანხმობას;					
	(b) ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფილი ხელშეკრულების დასტური მოიცავს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია არ გამოიყენონ ეს პუნქტი.				შ	არ არის სავალდებულო.
7.5	წევრი სახელმწიფოები არ უნდა დააკისრონ დამატებითი ფორმალური წინასახელშეკრულებო საინფორმაციო მოთხოვნები, წინამდებარე დირექტივაში				სშ	

	მოცემული საინფორმაციო ვალდებულებების შესასრულებლად.					
8.1	დისტანციური ხელშეკრულებების გათვალისწინებით, მოვაჭრემ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა გადასცეს მომხმარებელს ან ხელმისაწვდომი გახადოს მომხმარებლისთვის, დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებისთვის შესაფერისი გზით, მარტივ და გასაგებ ენაზე. რამდენადაც ეს ინფორმაცია მიეწოდება ხანგამძლე მატარებელზე, ის უნდა იყოს გასაგები.	1	13.1	დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრემ მე-11 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიაწოდოს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, მკაფიო და გასაგები ფორმით. თუ ეს ინფორმაცია მიწოდებულია ხანგრძლივ მატარებელზე, ინფორმაცია უნდა იყოს აღქმადი.	სშ	
8.2	თუ ელექტრონული საშუალებით დისტანციური ხელშეკრულების დადება მომხმარებელს აკისრებს გადახდის ვალდებულებას, მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა აცნობოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (a), (e), (o) და (p) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის შესახებ, ნათელი და თვალსაჩინო ფორმით, ასევე, მომხმარებლის მიერ უშუალოდ შეკვეთის განთავსებამდე. მომხმარებლის მიერ შეკვეთის განთავსებისას მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს იმის ცხადად აღქმა, რომ შეკვეთა გულისხმობს გადახდის ვალდებულებას. თუ შეკვეთის განთავსება იწვევს ღილაკის ან მსგავსი ფუნქციის აქტივაციას, ღილაკი ან მისი მსგავსი	1	13.2	თუ დისტანციური ხელშეკრულება იდება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებელს შეკვეთის განთავსებისას ერთმნიშვნელოვნად გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ შეკვეთის განთავსება წარმოშობს მომხმარებლისთვის საფასურის გადახდის ვალდებულებას. თუ მოვაჭრემ არ უზრუნველყო ეს პირობა, მომხმარებელს საფასურის გადახდის ვალდებულება არ წარმოეშობა.	სშ	

	ფუნქცია უნდა იყოს მარკირებული მარტივი გასაგები მეთოდით, სიტყვებით - „გადახდის ვალდებულების მქონე შეკვეთა“ ან მსგავსი ცალსახა ფორმულირებით, რომელიც უთითებს, რომ შეკვეთის განთავსება იწვევს მოვაჭრისთვის გადახდის ვალდებულებას. თუ მოვაჭრე არ ასრულებს ამ აბზაცს, მომხმარებელი არ იზღუდება ხელშეკრულებით ან შეკვეთით.					
8.3	სავაჭრო ვებგვერდებზე, არაუგვიანეს შეკვეთის პროცესის დასაწყისისა, ნათლად და მკაფიოდ უნდა მიეთითოს, ვრცელდება თუ არა მიწოდების რომელიმე შეზღუდვა და გადახდის რომელი საშუალებებია მისაღები.	1	13.3	სავაჭრო ვებგვერდებზე მკაფიოდ და გასაგებად, არაუგვიანეს შეკვეთის პროცესის დაწყებისა, განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია მიწოდებასთან დაკავშირებული შეზღუდვების თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ასევე - ინფორმაცია გადახდის საშუალების თაობაზე.	სშ	
8.4	თუ ხელშეკრულება იდება დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, რომელსაც გააჩნია ინფორმაციის განთავსების შეზღუდული სივრცე ან დრო, მოვაჭრემ, აღნიშნულ საშუალებაზე, ხელშეკრულების დადებამდე უნდა უზრუნველყოს სულ მცირე წინასახელშეკრულებო ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების ძირითად მახასიათებლებთან, მოვაჭრის ვინაობასთან, ჯამურ საფასურთან, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან და ხელშეკრულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და,	1	13.4	თუ ხელშეკრულება იდება დისტანციური საშუალებების გამოყენებით, რომელიც არ იძლევა საკმარის დროსა და ადგილს, რომ მოვაჭრემ მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, მოვაჭრე ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს მიაწოდოს, სულ მცირე, ინფორმაცია მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) შესახებ და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, და მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ და „დ“	სშ	

	თუ ხელშეკრულებას გააჩნია განუსაზღვრელი ხანგრძლივობა, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (a), (b), (e), (h) და (o) ქვეპუნქტების შესაბამისად - ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები; მოვაჭრემ მომხმარებლისთვის, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შესაფერისი გზით უნდა უზრუნველყოს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული სხვა ინფორმაცია.			ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია. დისტანციური ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს მე-11 მუხლის შესაბამისად.		
8.5	თუ მოვაჭრე ახორციელებს სატელეფონო ზარს მომხმარებელთან დისტანციური ხელშეკრულების დადების მიზნით, მან, მე-4 პუნქტის შეუზღუდავად, მომხმარებელთან საუბრის დაწყებისას უნდა გაამხილოს საკუთარი ვინაობა და არსებობის შემთხვევებში, იმ პირის ვინაობა, რომლის სახელითაც ახორციელებს სატელეფონო ზარს და ზარის კომერციული მიზნები.	1	13.5	სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით დისტანციური ხელშეკრულების დადებისას, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს, სატელეფონო კომუნიკაციის დაწყებისთანავე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციისა, მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი ვინაობის (სახელწოდების) ან იმ პირის ვინაობის შესახებ, ვისი სახელითაც მოქმედებს და სატელეფონო კომუნიკაციის კომერციული მიზნის თაობაზე.	სშ	
8.6	როდესაც დისტანციური ხელშეკრულება იდება ტელეფონის საშუალებით, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია უზრუნველყონ, რომ მოვაჭრემ უნდა დაადასტუროს მომხმარებლის შეთავაზება , რომელიც ვალდებულებას იღებს მხოლოდ შეთავაზების ხელმოწერის ან წერილობითი თანხმობის გაგზავნის შემდეგ. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია	1	13.5	სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით დისტანციური ხელშეკრულების დადებისას, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს, სატელეფონო კომუნიკაციის დაწყებისთანავე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციისა, მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი ვინაობის (სახელწოდების) ან იმ პირის ვინაობის შესახებ, ვისი	ნშ	სავალდებულო არ არის.

	უზრუნველყონ, რომ ასეთი დასტური გაკეთდეს ხანგამძლე მატარებელზე.			სახელითაც მოქმედებს და სატელეფონო კომუნიკაციის კომერციული მიზნის თაობაზე.		
8.7	მოვაჭრემ მომხმარებელი უნდა უზრუნველყოს დადებული ხელშეკრულების დასტურით, რომელსაც ასრულებს ხანგამძლე მატარებელზე, დისტანციური ხელშეკრულების დადების შემდეგ გონივრული ვადის ფარგლებში და არაუგვიანეს საქონლის მიწოდების დროს ან მომსახურების უზრუნველყოფის დაწყებამდე. დასტური მოიცავს:	1	13.6	მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს დაუდასტუროს ხელშეკრულების დადება ხანგრძლივ მატარებელზე, ხელშეკრულების დადებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს პროდუქტის მიწოდებისას ან უშუალოდ მომსახურების დაწყებამდე. ასეთი დასტური უნდა შეიცავდეს:	სშ	
8.7	(a) მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ სრულ ინფორმაციას, თუ მოვაჭრემ დისტანციური ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლისთვის ხანგამძლე მატარებელზე არ უზრუნველყო ასეთი ინფორმაცია; და (b) შესაბამის შემთხვევებში, მომხმარებლის წინასწარ გასაგებად გამოხატული თანხმობისა და აღიარების დასტურს, მე-16 მუხლის (m) პუნქტის შესაბამისად.	1	13.6	ა) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ - „თ“, ქვეპუნქტებით და მე-11 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ მომხმარებელს დისტანციური ხელშეკრულების დადებამდე აღნიშნული ინფორმაცია უკვე მიაწოდა ხანგრძლივ მატარებელზე; ბ) ასეთის არსებობის შემთხვევაში, მომხმარებლის წინასწარ თანხმობას და დასტურს, რომ მას მიეწოდა მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.	სშ	

8.8	როდესაც მომხმარებელს სურს, რომ მომსახურების უზრუნველყოფა ან წყლის, გაზის ელექტროენერგიის მიწოდება, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ან ცენტრალური გათბობის მიწოდება დაიწყოს მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში, მოვაჭრე მომხმარებელს სთხოვს ცხადი მოთხოვნის წარდგენას.	1	13.7	როდესაც მომხმარებელს სურს, რომ მომსახურების უზრუნველყოფა მოხდეს მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელების ვადაში, მან მოვაჭრეს ასეთი მოთხოვნა უნდა მიაწოდოს ცხადად.	სშ	
8.9	ეს მუხლი არ ზღუდავს დირექტივის 2000/31/EC მე-9 და მე-11 მუხლებში მოცემულ დებულებებს ელექტრონული ხელშეკრულების დადების და ელექტრონული შეკვეთების განთავსების შესახებ.				სშ	
8.10	წევრი სახელმწიფოები არ აკისრებენ სხვა დამატებით ფორმალურ წინასახელშეკრულებო საინფორმაციო მოთხოვნებს, წინამდებარე დირექტივაში მოცემული საინფორმაციო ვალდებულებების შესასრულებლად.				სშ	
9.1	მე-16 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთვევების გარდა, მომხმარებელს გააჩნია 14 დღიანი ვადა დისტანციური ან სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე უარის სათქმელად, მიზეზის დასახელებისა და მასზე ხარჯის დაკისრების გარეშე, გარდა მე-13 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-14 მუხლით გათვალისწინებული ხარჯისა.	1	14.1	მე-16 მუხლით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას დისტანციურ ან/და სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე პროდუქტის მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ (გარდა გადამზიდავისა) მფლობელობაში მიღებიდან, რეგულარული (განსაზღვრული	სშ	

				პერიოდულობით) მიწოდების შემთხვევაში ნივთის მფლობელობაში პირველად მიღების მომენტიდან, ხოლო პროდუქტის ნაწილ-ნაწილ გაყიდვისას - ბოლო ნივთის მფლობელობაში მიღებიდან ან მომსახურების ხელშეკრულების დადებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.		
			14.2	მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოხმარებელს არ დაეკისრება რაიმე ხარჯის (მათ შორის მიწოდების ხარჯის) გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა აირჩია მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ სტანდარტულ მიწოდებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურება ან თუ პროდუქტის ფასი შემცირდა ისეთი სარგებლობის შედეგად, რაც არ არის დაკავშირებული პროდუქტის ბუნების, მახასიათებლების და ფუნქციონირების დადგენასთან. პროდუქტის ფასის შემცირების შედეგად სხვაობის გადახდის ვალდებულება არ დაეკისრება მომხმარებელს თუ მოვაჭრემ ამ კანონით გათვალისწინებული, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობაზე სრული ინფორმაცია არ მიაწოდა მას.		

9.2	მე-10 მუხლის შეუზღუდავად, ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება 14 დღის გასვლის შემდეგ: (a) მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში - ხელშეკრულების დადების დღიდან;	1	14.1	მე-16 მუხლით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას დისტანციურ ან/და სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე პროდუქტის მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ (გარდა გადამზიდავისა) მფლობელობაში მიღებიდან, რეგულარული (განსაზღვრული პერიოდულობით) მიწოდების შემთხვევაში ნივთის მფლობელობაში პირველად მიღების მომენტიდან, ხოლო პროდუქტის ნაწილ-ნაწილ გაყიდვისას - ბოლო ნივთის მფლობელობაში მიღებიდან ან მომსახურების ხელშეკრულების დადებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.	სშ	

9.2	(b) ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში - იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდავს, იძენს საქონლის ფიზიკურ მფლობელობას, ან: (i) მომხმარებლის მიერ ერთად შეკვეთილი და ცალ-ცალკე მიღებული სხვადასხვა საქონლის შემთხვევაში - იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდავს, იძენს საბოლოო საქონლის ფიზიკურ მფლობელობას;	1	14.1	მე-16 მუხლით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას დისტანციურ ან/და სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე პროდუქტის მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ (გარდა გადამზიდავისა) მფლობელობაში მიღებიდან, რეგულარული (განსაზღვრული პერიოდულობით) მიწოდების შემთხვევაში ნივთის მფლობელობაში პირველად მიღების მომენტიდან, ხოლო პროდუქტის ნაწილ-ნაწილ გაყიდვისას - ბოლო ნივთის მფლობელობაში მიღებიდან ან მომსახურების ხელშეკრულების დადებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.	სშ	
9.2	(ii) რამდენიმე პარტიის ან ნაწილისგან შემდგარი საქონლის მიწოდების შემთხვევაში - იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდავს, იძენს საბოლოო პარტიის ან ნაწილის ფიზიკურ მფლობელობას;	1	14.1	მე-16 მუხლით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას დისტანციურ ან/და სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე პროდუქტის მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ (გარდა გადამზიდავისა) მფლობელობაში მიღებიდან, რეგულარული (განსაზღვრული პერიოდულობით) მიწოდების	სშ	

				შემთხვევაში ნივთის მფლობელობაში პირველად მიღების მომენტიდან, ხოლო პროდუქტის ნაწილ-ნაწილ გაყიდვისას - ბოლო ნივთის მფლობელობაში მიღებიდან ან მომსახურების ხელშეკრულების დადებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.		
9.2	(iii) დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში საქონლის რეგულარულ მიწოდებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების შემთხვევაში - იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდავს, იძენს პირველი საქონლის ფიზიკურ მფლობელობას;	1	12.1	ამ კანონის მე-14 მუხლით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას სარეწის გარეთ დადებულ და დისტანციურ ხელშეკრულებაზე პროდუქტის მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ (გარდა გადამზიდავისა) მფლობელობაში მიღებიდან, რეგულარული (განსაზღვრული პერიოდულობით) მიწოდების შემთხვევაში ნივთის მფლობელობაში პირველად მიღების მომენტიდან, ხოლო პროდუქტის ნაწილ-ნაწილ გაყიდვისას - ბოლო ნივთის მფლობელობაში მიღებიდან ან მომსახურების ხელშეკრულების დადებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.	სშ	

9.2	(c) წყლის, გაზის ან ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე, ცენტრალური გათბობის ხელშეკრულების შემთხვევაში ან ციფრული შინაარსის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც არ მიეწოდება მყარი მატარებლით, ხელშეკრულების დადების დღიდან.	1	14.1	მე-16 მუხლით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას დისტანციურ ან/და სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე პროდუქტის მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ (გარდა გადამზიდავისა) მფლობელობაში მიღებიდან, რეგულარული (განსაზღვრული პერიოდულობით) მიწოდების შემთხვევაში ნივთის მფლობელობაში პირველად მიღების მომენტიდან, ხოლო პროდუქტის ნაწილ-ნაწილ გაყიდვისას - ბოლო ნივთის მფლობელობაში მიღებიდან ან მომსახურების ხელშეკრულების დადებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.	სშ	
9.3	წევრი სახელმწიფოები სახელშეკრულებო მხარეებს არ უკრძალავენ თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდის დროს. მიუხედავად ამისა, სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ არსებული ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც მოვაჭრეს უკრძალავს მომხმარებლისგან გადასახადის შეგროვებას ხელშეკრულების დადების				სშ	მე-3 პუნქტის მეორე ნაწილი სავალდებულო არ არის.

	შემდეგ მოცემული პერიოდის განმავლობაში.					
10.1	თუ მოვაჭრე მომხმარებლისთვის არ უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის (h) ქვეპუნქტის შესაბამის ინფორმაციას ხელშეკრულებაზე უარის თქმისშესახებ, ხელშეკრულებაზე უარის თქმისპერიოდი იწურება პირველადი პერიოდის დასრულებიდან 12 თვეში, როგორც ეს განსაზღვრულია მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში.	1	14.8	იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე მომხმარებელს არ მიაწვდის ინფორმაციას ამ კანონით გათვალისწინებული პროდუქტის უკან დაბრუნების უფლების შესახებ, პროდუქტის უკან დაბრუნების ვადა აითვლება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ათვლის პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.	სშ	
10.2	თუ მოვაჭრემ მომხმარებლისთვის უზრუნველყო ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან 12 თვის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება მომხმარებლის მიერ ინფორმაციის მიღების დღიდან 14 დღის გასვლის შემდეგ.	1	14.9	იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრემ მომხმარებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ათვლის პერიოდიდან 12 თვის ვადაში მიაწოდა ინფორმაცია ამ კანონით გათვალისწინებული პროდუქტის უკან დაბრუნების უფლების შესახებ, პროდუქტის უკან დაბრუნების ვადა აითვლება ინფორმაციის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.	სშ	

11.1	მომხმარებელი მოვაჭრეს აცნობებს ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდის ამოწურვამდე. ამ მიზნით, მომხმარებელმა შესაძლებელია: (a) გამოიყენოს I(B) დანართში მოცემული ხელშეკრულებიდან გასვლის ტიპიური ფორმა; ან (b) გააკეთოს სხვა ცალსახა განცხადება, რომელშიც მოცემულია მისი ხელშეკრულებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება.	1	14.4	მომხმარებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, მოვაჭრეს გაუგზავნოს დანართ №1-ში მოცემული, შევსებული ფორმა ან სხვა ცალსახა მტკიცებულება, რომელიც ასახავს მომხმარებლის გადაწყვეტილებას პროდუქტის უკან დაბრუნების შესახებ. ამ მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დადგენილ ვადაში განხორციელების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება მომხმარებელს.	სშ	
11.1	წევრი სახელმწიფო არ ითვალისწინებს ფორმალურ მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება ხელშეკრულებიდან გასვლის ტიპიურ ფორმაზე, გარდა I(B) დანართში მოცემული მოთხოვნებისა.				სშ	
11.2	მომხმარებელი ახორციელებს ხელშეკრულებაზე უარის თქმისუფლებას მე-9 მუხლის მე-2 პუნქტსა და მე-10 მუხლში მოცემული ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდის ფარგლებში, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული შეტყობინება მომხმარებელმა გაგზავნა ამ პერიოდის ამოწურვამდე.	1	14.7	მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება შეუძლია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში თუ შეტყობინება ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ მოვაჭრეს გაუგზავნა ამ ვადის ამოწურვამდე.	სშ	

11.3	მოვაჭრემ, 1-ელ პუნქტში მითითებული საშუალებების გარდა, შესაძლებელია მომხმარებელს მისცეს მოვაჭრის ვებგვერდზე, I(B) დანართში მოცემული, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფორმის ან ნებისმიერი სხვა ცალსახა განცხადების ელექტრონულად შევსებისა და წარდგენის შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში მოვაჭრემ მომხმარებელს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დასტური ხელშეკრულებაზე უარის მიღებაზე, ხანგამძლე მატარებელზე.	1.	14.6	მოვაჭრე უფლებამოსილია, დანართი №1-ით გათვალისწინებული ფორმა ჩაიბაროს ელექტრონულად, ჩაბარების თაობაზე მომხმარებელს ინფორმაცია მიეწოდება დაუყოვნებლივ, ხანგრძლივ მატარებელზე;	სშ	
11.4	ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების, ამ მუხლის შესაბამისად განხორციელების მტკიცების ტვირთი ეკისრება მომხმარებელს.	1	14.4	მომხმარებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, მოვაჭრეს გაუგზავნოს დანართ №1-ში მოცემული, შევსებული ფორმა ან სხვა ცალსახა მტკიცებულება, რომელიც ასახავს მომხმარებლის გადაწყვეტილებას პროდუქტის უკან დაბრუნების შესახებ. ამ მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დადგენილ ვადაში განხორციელების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება მომხმარებელს.		
12	ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელება წყვეტს მხარეთა შემდგომ ვალდებულებებს: (a) შეასრულონ დისტანციური ან სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებები; ან	1	15.1	ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეთა მიერ დისტანციური ან სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მიღებული შესრულება მხარეებს უკან უბრუნდებათ.	სშ	

12	(b) დადონ დისტანციური ან სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებები, მომხმარებლის მიერ შეთავაზების გაკეთების შემთხვევაში.	1	15.1	ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეთა მიერ დისტანციური ან სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მიღებული შესრულება მხარეებს უკან უბრუნდებათ.	სშ	

13.1	მოვაჭრე ანაზღაურებს მომხმარებლისგან მიღებულ ყველა გადასახადს, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, მიწოდების საფასურს, დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღისა, მე-11 მუხლის შესაბამისად,.	1	13.2	ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია: ა) სრულად დაუბრუნოს მომხმარებელს გადახდილი თანხა და ასეთის არსებობის შემთხვევაში მიწოდების ხარჯი გაჭიანურების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში. მოვაჭრე არ არის ვალდებული მომხმარებელს დაუბრუნოს დამატებითი ხარჯი, რაც დაკავშირებულია მომხმარებლის მიერ მიწოდების არასტანდარტული ან უფრო ძვირი მომსახურების არჩევასთან, ვიდრე ეს შეთავაზებული იყო მოვაჭრის მიერ;	სშ	
13.1	მოვაჭრე ახორციელებს პირველ აბზაცში მითითებულ ანაზღაურებას იმავე გადახდის საშუალებით, რომელიც მომხმარებელმა გამოიყენა საწყისი გარიგებისას, თუ მომხმარებელი პირდაპირ არ თანხმდება სხვაგვარად და თუ მომხმარებელს არ ეკისრება რაიმე სახის გადასახადი ასეთი ანაზღაურების შედეგად.	1	15.2	ბ) თანხა უნდა ანაზღაურდეს გადახდის იმავე საშუალებებით, რაც გამოყენებული იყო მომხმარებლის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი თანხმობას განაცხადებს გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე და თუ მოხმარებელს არ წარმოეშობა დამატებითი ხარჯი.	სშ	

13.2	მიუხედავად 1-ლი პუნქტისა, მოვაჭრეს არ ეკისრება დამატებითი ღირებულების ანაზღაურება, თუ მომხმარებელმა პირდაპირ აირჩია მიწოდების ტიპი, რომელიც არ წარმოადგენს მომხმარებლის მიერ შემოთავაზებულ ყველაზე ნაკლებად ღირებულ სტანდარტული მიწოდების ტიპს.	1	15.2	ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია: ა) სრულად დაუბრუნოს მომხმარებელს გადახდილი თანხა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიწოდების ხარჯი გაჭიანურების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში. მოვაჭრე არ არის ვალდებული მომხმარებელს დაუბრუნოს დამატებითი ხარჯი, რაც დაკავშირებულია მომხმარებლის მიერ მიწოდების არასტანდარტული ან უფრო ძვირი მომსახურების არჩევასთან, ვიდრე ეს შეთავაზებული იყო მოვაჭრის მიერ;	სშ	
13.3	ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით, თუ მოვაჭრეს არ გაუკეთებია საქონლის საკუთარი ძალებით დაბრუნების შეთავაზება, მოვაჭრემ შესაძლებელია შეაჩეროს ანაზღაურება, საქონლის უკან მიღებამდე ან მომხმარებლის მიერ საქონლის გამოგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენამდე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი განხორციელდება უფრო ადრე.	1	15.3	ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოვაჭრეს უფლება აქვს, უარი თქვას თანხის უკან დაბრუნებაზე მანამ, სანამ არ დაიბრუნებს პროდუქტს ან მომხმარებლისგან არ მიიღებს პროდუქტის გაგზავნის დამადასტურებელ დოკუმენტს, იმის მიხედვით, რომელიც უფრო ადრე განხორციელდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ თავად იკისრა პროდუქტის უკან წაღება.	სშ	

14.1	საქონლის საკუთარი ძალებით დაბრუნების არ შეუთავაზებია, მომხმარებელი უკან გზავნის ან გადასცემს საქონელს მოვაჭრეს ან საქონლის მიღებაზე მოვაჭრის მიერ უფლებამოსილ პირს, დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში, მე-11 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილების მოვაჭრისთვის შეტყობინების დღიდან არაუგვიანეს 14 დღისა. ვადა მიიჩნევა დაცულად, თუ მომხმარებელი საქონელს უკან გამოგზავნის 14 დღიანი ვადის ამოწურვამდე. მომხმარებელს ეკისრება საქონლის დაბრუნების ხარჯები, თუ მოვაჭრე თავად არ იკისრებს მათ გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოვაჭრე არ შეატყობინებს მომხმარებელს, რომ მას ეკისრება დაბრუნების ხარჯების გადახდა. სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების დადების მომენტში, მომხმარებლის სახლში, მოვაჭრე საკუთარი ხარჯებით იბრუნებს საქონელს, თუ მისი, თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ფოსტით დაბრუნება.	1	15.4	ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია: ა) მოვაჭრეს ან მის მიერ განსაზღვრულ მესამე პირს დაუბრუნოს პროდუქტი ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე შეტყობინების გაგზავნიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ თავად იკისრა პროდუქტის უკან წაღება; ბ) დაფაროს მხოლოდ პროდუქტის დაბრუნებასთან დაკავშირებული პირდაპირი (უშუალო) ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ თავად იკისრა ამ ხარჯის გაწევა ან მომხმარებელს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ პროდუქტის დაბრუნების შემთხვევაში ამგვარი ხარჯი წარმოიშობოდა. სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი მოხმარებელს მიეწოდება სახლში, მოვაჭრე ვალდებულია პროდუქტი საკუთარი ხარჯით წაიღოს უკან, თუ პროდუქტის ბუნების გამო შეუძლებელია მისი ფოსტით გაგზავნა.	ნშ	კანონპროექტის სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ საქართველოს რეალობიდან გამომდინარე 14 დღე ზედმეტია და 7 დღე სრულიად საკმარისი იქნება უკან დასაბრუნებლად.

14.2	მომხმარებელი პასუხისმგებელია საქონლის შემცირებულ ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გამოწვეულია საქონლის მოხმარებით, გარდა იმგვარი მოხმარებისშემთხვევისა, რომელიც აუცილებელია საქონლის თვისებების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დასადგენად. მომხმარებელი არცერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი საქონლის შემცირებულ ღირებულებაზე, როდესაც მოვაჭრე მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (h) ქვეპუნქტის შესაბამისად არ ატყობინებს მას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ.	1	14.2	მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოხმარებელს არ დაეკისრება რაიმე ხარჯის (მათ შორის მიწოდების ხარჯის) გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა აირჩია მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ სტანდარტულ მიწოდებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურება ან თუ პროდუქტის ფასი შემცირდა ისეთი სარგებლობის შედეგად, რაც არ არის დაკავშირებული პროდუქტის ბუნების, მახასიათებლების და ფუნქციონირების დადგენასთან. პროდუქტის ფასის შემცირების შედეგად სხვაობის გადახდის ვალდებულება არ დაეკისრება მომხმარებელს თუ მოვაჭრემ ამ კანონით გათვალისწინებული, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობაზე სრული ინფორმაცია არ მიაწოდა მას.	სშ	
14.3	თუ მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს ამბობს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნის გაკეთების შემდეგ, იგი იხდის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელების შესახებ მოვაჭრის ინფორმირებამდე მიღებული მიწოდების პროპორციულ თანხას, ხელშეკრულების სრული დაფარვის საპირისპიროდ. მომხმარებლის მიერ მოვაჭრისთვის გადასახდელი პროპორციული თანხა გამოითვლება	1	15.1	ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეთა მიერ დისტანციური ან სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მიღებული შესრულება მხარეებს უკან უბრუნდებათ.	სშ	

	ხელშეკრულებაში შეთანხმებული ჯამური საფასურის საფუძველზე. თუ ჯამური თანხა არის ზედმეტად ჭარბი, პროპორციული თანხა გამოითვლება მომსახურების საბაზრო ღირებულების საფუძველზე.					
14.4	მომხმარებელს არ ეკისრება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება: (a) მომსახურების მიწოდებისთვის ან წყლის, გაზის ან ელექტროენერგიის მიწოდებისთვის, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე, ცენტრალური გათბობის უზრუნველსაყოფ, ხელშეკრულებაზე უარის თქმისპერიოდში, სრულად ან ნაწილობრივ, როდესაც: (i) მოვაჭრე არ უზრუნველყოფს ინფორმაციას მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (h) ან (j) პუნქტების შესაბამისად; ან (ii) მომხმარებელს პირდაპირ არ მოუთხოვია ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის განმავლობაში მომსახურების დაწყება, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად; ან	1	15.4	ბ) დაფაროს მხოლოდ პროდუქტის დაბრუნებასთან დაკავშირებული პირდაპირი (უშუალო) ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ თავად იკისრა ამ ხარჯის გაწევა ან მომხმარებელს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ პროდუქტის დაბრუნების შემთხვევაში ამგვარი ხარჯი წარმოიშობოდა. სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი მოხმარებელს მიეწოდება სახლში, მოვაჭრე ვალდებულია პროდუქტი საკუთარი ხარჯით წაიღოს უკან, თუ პროდუქტის ბუნების გამო შეუძლებელია მისი ფოსტით გაგზავნა.	სშ	

14.4	(b) ციფრული შინაარსის ნაწილობრივი ან სრული მიწოდებისთვის, რომელიც არ მიეწოდება მყარი მატარებლის საშუალებით, თუ: (i) მომხმარებელს არ მიუცია წინასწარ ცხადად გამოხატული თანხმობა მომსახურების დაწყებაზე, მე-9 მუხლში მითითებული 14 დღიანი ვადის ამოწურვამდე; (ii) მომხმარებელმა არ აღიარა, რომ ის კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას თანხმობის მიცემის შემდეგ; ან (iii) მოვაჭრე არ უზრუნველყოფს დასტურს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ან მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.	1	14.2	მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოხმარებელს არ დაეკისრება რაიმე ხარჯის (მათ შორის მიწოდების ხარჯის) გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა აირჩია მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ სტანდარტულ მიწოდებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურება ან თუ პროდუქტის ფასი შემცირდა ისეთი სარგებლობის შედეგად, რაც არ არის დაკავშირებული პროდუქტის ბუნების, მახასიათებლების და ფუნქციონირების დადგენასთან. პროდუქტის ფასის შემცირების შედეგად სხვაობის გადახდის ვალდებულება არ დაეკისრება მომხმარებელს თუ მოვაჭრემ ამ კანონით გათვალისწინებული, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობაზე სრული ინფორმაცია არ მიაწოდა მას. 16.2 მ) ციფრული შინაარსი მიწოდებულია არამყარი მატარებლით, რომლის შესრულებაც დაიწყო მომხმარებლის წინასწარი თანხმობით და მომხმარებელმა იცოდა, რომ ამით ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას დაკარგავდა.	სშ	

14.5	მომხმარებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელების შედეგად, გარდა მე-13 მუხლის მე-2 პუნქტითა და ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.	1	14.2	მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოხმარებელს არ დაეკისრება რაიმე ხარჯის (მათ შორის მიწოდების ხარჯის) გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა აირჩია მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ სტანდარტულ მიწოდებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურება ან თუ პროდუქტის ფასი შემცირდა ისეთი სარგებლობის შედეგად, რაც არ არის დაკავშირებული პროდუქტის ბუნების, მახასიათებლების და ფუნქციონირების დადგენასთან. პროდუქტის ფასის შემცირების შედეგად სხვაობის გადახდის ვალდებულება არ დაეკისრება მომხმარებელს თუ მოვაჭრემ ამ კანონით გათვალისწინებული, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობაზე სრული ინფორმაცია არ მიაწოდა მას.	სშ	
15.1	მომხმარებელთათვის საკრედიტო ხელშეკრულების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის დირექტივის 2008/48/EC მე-15 მუხლის შეუზღუდავად, თუ მომხმარებელი ახორციელებს დისტანციური ან სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებაზე უარის თქმისუფლებას წინამდებარე დირექტივის მე-9 და მე-14 მუხლების შესაბამისად, ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულება ავტომატურად წყდება,	1 1	14.3 14.2	მომხმარებლის მიერ სარეწის გარეთ დადებული ან დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ავტომატურად იწვევს მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებიდან გასვლას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოხმარებელს არ	სშ	

	მომხმარებლისთვის ნებისმიერი დამატებითი ღირებულების დაკისრების გარეშე, გარდა წინამდებარე დირექტივის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-14 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.			დაეკისრება რაიმე ხარჯის (მათ შორის მიწოდების ხარჯის) გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა აირჩია მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ სტანდარტულ მიწოდებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურება ან თუ პროდუქტის ფასი შემცირდა ისეთი სარგებლობის შედეგად, რაც არ არის დაკავშირებული პროდუქტის ბუნების, მახასიათებლების და ფუნქციონირების დადგენასთან. პროდუქტის ფასის შემცირების შედეგად სხვაობის გადახდის ვალდებულება არ დაეკისრება მომხმარებელს თუ მოვაჭრემ ამ კანონით გათვალისწინებული, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობაზე სრული ინფორმაცია არ მიაწოდა მას.		
15.2	წევრი სახელმწიფოები ადგენენ დეტალურ წესებს აღნიშნული ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე.	1	12 13 14	თავი IV ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება	სშ	
16	წევრი სახელმწიფოები არ ითვალისწინებენ მე-9 და მე-15 მუხლებში მოცემულ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, დისტანციური და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, შემდეგთან მიმართებით: (a) მომსახურების ხელშეკრულებები, მომსახურების სრულად შესრულების შემდეგ, თუ შესრულება დაიწყო მომხმარებლის	1	16.2	მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ: ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად იქნა გაწეული, თუ მოვაჭრემ მომსახურების გაწევა დაიწყო მომხმარებლის წინასწარი თანხმობით და მომხმარებელმა იცოდა, რომ მომსახურების სრულად მიღების შემთხვევაში	სშ	

	გასაგებად გამოხატული თანხმობით, და იმის აღიარებით, რომ ის დაკარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, მოვაჭრის მიერ ხელშეკრულების სრულად შესრულების შემდეგ;			დაკარგავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;		
16	(b) საქონლის ან მომსახურების მიწოდება, რომლის ფასი დამოკიდებულია ბაზარზე ფასების რყევაზე, რაც ვერ კონტროლდება მოვაჭრის მიერ და რომელიც შესაძლებელია მოხდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდში;	1	16.2	ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ მიწოდებული პროდუქტის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე არსებულ ცვლილებებზე, რომელსაც მოვაჭრე ვერ აკონტროლებს და რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელებისთვის ამ კანონით დადგენილ ვადაში;	სშ	
16	(c) მომხმარებლის სპეციფიკაციებით დამზადებული ან აშკარად პერსონიზებული საქონლის მიწოდება;	1	16.2	გ) მიწოდებული პროდუქტი დამზადებულია მომხმარებლის ინდივიდუალური შეკვეთით ან აშკარად მორგებულია მის პირად საჭიროებებს;	სშ	
16	(d) ისეთი საქონლის მიწოდება, რომელიც მიდრეკილია სწრაფად გაფუჭებისა ან ვადის ამოწურვისკენ;	1	16.2	დ) მიწოდებული პროდუქტი მალფუჭებადია ან აქვს მოკლე ვარგისიანობის ვადა;	სშ	
16	(e) ისეთი დალუქული საქონლის მიწოდება, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას ჯანმრთელობის დაცვის ან ჰიგიენური მიზეზებით და რომელიც მიწოდების შემდეგ გაიხსნა;	1	16.2	ე) მიწოდებულია ჰერმეტულად დაცული პროდუქტი, რომლის ჰერმეტულობა დარღვეულია მიწოდების შემდეგ და ამდენად, მისი დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო;	სშ	

16	(f) ისეთი საქონლის მიწოდება, რომელიც მიწოდების შემდეგ მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, განუყოფლად არის შერეული სხვა ნივთიერებასთან;	1	16.2	ვ) მიწოდებულია პროდუქტი, რომელიც მიწოდების დროს, მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, განუყოფლად შეერწყა სხვა პროდუქტს;	სშ	
16	(g) ალკოჰოლიანი სასმელების მიწოდება, რომლის ფასი შეთანხმებული იქნა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს, რომლის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ 30 დღის შემდეგ და რომლის ფაქტობრივი ღირებულება დამოკიდებულია ბაზარზე ფასების რყევაზე, რაც ვერ კონტროლდება მოვაჭრის მიერ;	1	16.2	ნ) იგი ითვალისწინებს ალკოჰოლური სასმელების მიწოდებას, რომელთა ფასი შეთანხმებულია ხელშეკრულების დადების მომენტში, ხოლო მიწოდება ხდება 30 დღის შემდეგ და რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე არსებულ მერყეობაზე, რომელსაც მოვაჭრე ვერ აკონტროლებს.	სშ	
16	(h) ხელშეკრულებები, რომელთა ფარგლებშიც მომხმარებელი სპეციალურად მოითხოვს მოვაჭრის მხრიდან ვიზიტს, სასწრაფო შეკეთების ან ტექნიკური უზრუნველყოფის განხორციელების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ვიზიტის დროს, მოვაჭრე უზრუნველყოფს დამატებით მომსახურებას, გარდა მომხმარებლის მიერ კონკრეტულად მოთხოვნილი მომსახურებისა და საქონელს, გარდა ტექნიკური უზრუნველყოფის ან შეკეთების განსახორციელებლად საჭირო სათადარიგო ნაწილებისა, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ვრცელდება აღნიშნულ დამატებით მომსახურებაზე ან საქონელზე;	1	16.2	ზ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომხმარებელმა მოვაჭრე გამოიძახა გადაუდებელი სარემონტო/ტექნიკური მომსახურების გაწევის მიზნით. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ამ ვიზიტის ფარგლებში მომსახურების მიღმა გაწეულ დამატებით მომსახურებაზე;	სშ	

16	(i) დალუქული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერები ან დალუქული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც იხსნება მათი მიწოდების შემდეგ;	1	16.2	თ) მიწოდებულია დალუქული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი ან დალუქული პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის ლუქი დაირღვა მიწოდების შემდეგ;	სშ	
16	(j) გაზეთისა და ჟურნალის მიწოდება, გარდა ასეთი პუბლიკაციების მიწოდებისთვის დადებული გამოწერის ხელშეკრულებებისა;	1	16.2	ი) მიწოდებულია ჟურნალ-გაზეთები ან სხვა სახის პერიოდული გამოცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწოდება ხორციელდება სააბონენტო ხელშეკრულების საფუძველზე;	სშ	
16	(k) საჯარო აუქციონზე დადებული ხელშეკრულებები;	1	16.2	კ) ხელშეკრულება დადებულია საჯარო აუქციონის შედეგად;	სშ	
16	(l) საცხოვრებელი მიზნების გარდა სხვა მიზნებისთვის საცხოვრებელის უზრუნველყოფა, საქონლის ტრანსპორტირება, მანქანის ქირავნობის მომსახურება, კვების ან დასვენებასთან დაკავშირებული მომსახურება, თუ ხელშეკრულება უზრუნველყოფს კონკრეტული თარიღის ან შესრულების ვადას;	1	16.2	ლ) ხელშეკრულება დადებულია უძრავი ქონების გადაცემაზე (არასაცხოვრებელი მიზნით), პროდუქტის გადაზიდვაზე, სატრანსპორტო საშუალების ქირავნობაზე, კვების ორგანიზებაზე ან დასვენებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე და რომელშიც შესრულების განსაზღვრული თარიღი ან პერიოდია მითითებული;	სშ	
16	(m) ისეთი ციფრული შინაარსის უზრუნველყოფა, რომელიც არ მიეწოდება მატერიალური საშუალებით, თუ შესრულება დაიწყო მომხმარებლის გასაგებად გამოხატული თანხმობით და იმის აღიარებით, რომ ის შესაბამისად კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.	1	16.2	მ) ციფრული შინაარსი მიწოდებულია არამყარი მატარებლით, რომლის შესრულებაც დაიწყო მომხმარებლის წინასწარი თანხმობით და მომხმარებელმა იცოდა, რომ ამით ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას დაკარგავდა.	სშ	

17.1	მე-18 და მე-20 მუხლები ვრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულებებზე. აღნიშნული მუხლები არ ვრცელდება წყლის, გაზის ან ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულებებზე, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე, ცენტრალური გათბობის ხელშეკრულებებზე ან ციფრული კონტენტის მიწოდების ხელშეკრულებებზე, რომელიც არ მიეწოდება მყარი მატარებლით.				შ	კანონპროექტი გავრცელდა ყველაფერზე და შესაბამისად გამონაკლისები აღარ არის რადგან რამოდენიმე დირექტივას აერთიანებს.
17.2	მე-19, 21-ე და 22-ე მუხლები ვრცელდება ნასყიდობისა და მომსახურების ხელშეკრულებებზე, ასევე, წყლის, გაზის ან ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულებებზე, ცენტრალური გათბობისა და ციფრული შინაარსის მიწოდების ხელშეკრულებებზე.				შ	კანონპროექტი გავრცელდა ყველაფერზე და შესაბამისად გამონაკლისები აღარ არის რადგან რამოდენიმე დირექტივას აერთიანებს.
18.1	მოვაჭრე, საქონლის მიწოდების მიზნით, დაუყოვნებლივ გადასცემს საქონელს მომხმარებლის ფიზიკური მფლობელობის ან კონტროლის ქვეშ, მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ მიწოდების დროზე.	1	7.1	მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს საქონელი დაყოვნების გარეშე, მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, თუ მხარეები სხვა ვადებზე არ შეთანხმდნენ.	სშ	
18.2	როდესაც მოვაჭრე ვერ ასრულებს საქონლის მიწოდების ვალდებულებას მომხმარებელთან შეთანხმებულ დროში ან 1-ელ პუნქტში განსაზღვრულ ვადაში, მომხმარებელი მოუწოდებს მოვაჭრეს განახორციელოს მიწოდება, გარემოებასთან შესაფერისი დამატებითი	1	7.2	თუ მოვაჭრემ არ შეასრულა ვალდებულება მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, მომხმარებელმა მოვაჭრეს უნდა განუსაზღვროს დამატებითი	სშ	

	დროის მონაკვეთში. მომხმარებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მოვაჭრე ვერ ასრულებს საქონლის მიწოდებას დამატებითი დროის მონაკვეთში.			გონივრული ვადა შესრულებისთვის. დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.		
18.2	პირველი აბზაცი არ ვრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულებებზე, როდესაც მოვაჭრე უარს ამბობს საქონლის მიწოდებაზე ან როდესაც შეთანხმებულ პერიოდში მიწოდება არის აუცილებელი, ხელშეკრულების დადებისას არსებული ყველა გარემოების გათვალისწინებით ან, როდესაც ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელი აცნობებს მოვაჭრეს, რომ მიწოდება განსაზღვრულ თარიღამდე ან განსაზღვრული თარიღისთვის არის აუცილებელი. აღნიშნულ შემთხვევებში, თუ მოვაჭრე ვერ აწვდის საქონელს მომხმარებელთან შეთანხმებულ დროში ან 1-ელ პუნქტში განსაზღვრულ ვადაში, მომხმარებელს აქვს უფლება დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება.	1	7.3	ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის სავალდებულო მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება ან მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულება დაუკავშირა საქონლის დროულ მიღებას.	სშ	
18.3	ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მოვაჭრემ დაუყოვნებლივ უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხა.	1	13.2	ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია: ა) სრულად დაუბრუნოს მომხმარებელს გადახდილი თანხა და ასეთის არსებობის შემთხვევაში,	სშ	

				მიწოდების ხარჯი გაჭიანურების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში. მოვაჭრე არ არის ვალდებული მომხმარებელს დაუბრუნოს დამატებითი ხარჯი, რაც დაკავშირებულია მომხმარებლის მიერ მიწოდების არასტანდარტული ან უფრო ძვირი მომსახურების არჩევასთან, ვიდრე ეს შეთავაზებული იყო მოვაჭრის მიერ;		
18.4	მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის გარდა, მომხმარებელს შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით უზრუნველყოფილ სხვა გამოსასწორებელ ზომებს.	1	7.2	თუ მოვაჭრემ არ შეასრულა ვალდებულება მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, მომხმარებელმა მოვაჭრეს უნდა განუსაზღვროს დამატებითი გონივრული ვადა შესრულებისთვის. დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.	სშ	

19	წევრი სახელმწიფოები, გადახდის მოცემული საშუალების გამოყენებასთან მიმართებაში, მოვაჭრეებს უკრძალავენ მომხმარებლებისთვის ისეთი გადასახადის დაკისრებას, რომელიც სცდება მოვაჭრის მიერ გაწეულ ხარჯს აღნიშნული საშუალების გამოყენებისთვის.	1	9.1	მოვაჭრეს ეკრძალება, გადახდის ელექტრონული საშუალების გამოყენებისთვის, მომხმარებელს გადაახდევინოს იმაზე მეტი საფასური ვიდრე თვითონ იხდის.	სშ	
20	ხელშეკრულებებში, რომლის მიხედვითაც მოვაჭრე მომხმარებელს საქონელს უგზავნის, საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკი გადადის მომხმარებელზე, როდესაც ის ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდავს, იძენს საქონლის ფიზიკურ მფლობელობას. თუმცა, მომხმარებელზე გადადის რისკი, საქონლის გადამზიდთან მისვლისას, თუ საქონლის გადატანა გადამზიდავს დაავალა მომხმარებელმა და ეს არჩევანი არ იყო შემოთავაზებული მოვაჭრისგან, გადამზიდავის მიმართ მომხმარებლის უფლებების დარღვევის გარეშე.	1	8.2	თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საქონლის მომხმარებლისთვის გაგზავნა, საქონლის დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მომხმარებელზე იმ მომენტიდან, როდესაც მომხმარებელი ან მის მიერ უფლებამოსილი მესამე პირი (გარდა გადამზიდავისა) მოიპოვებს ფაქტობრივ მფლობელობას საქონელზე.	სშ	
21	წევრი სახელმწიფოები უზრუნველჰყოფენ, რომ, როდესაც მოვაჭრე, დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, იყენებს სატელეფონო ხაზს მასთან სატელეფონო კონტაქტის მიზნისთვის, მომხმარებელი მოვაჭრესთან დაკავშირებისას არ არის ვალდებული გადაიხადოს სატარიფო განაკვეთზე მეტი. პირველი აბზაცი არ ზღუდავს სატელეკომუნიკაციო მომსახურების	1	7.2	თუ მოვაჭრეს საკონტაქტოდ მითითებული აქვს ტელეფონის ნომერი, მომხმარებელი მასთან დაკავშირებისას არ არის ვალდებული გადაიხადოს აღნიშნული კომუნიკაციისთვის დადგენილ საწყის ფასზე მეტი. აღნიშნული არ გამორიცხავს სატელეკომუნიკაციო მომსახურების გამწევის უფლებას	სშ	

	მიმწოდებლების უფლებას დააწესონ გადასახადი ასეთ ზარებზე.			ამგვარი სარგებლობისთვის დააწესოს საფასური.		
22	მანამ, სანამ მომხმარებელი შეიზღუდება ხელშეკრულებით ან შეთავაზებით, მოვაჭრემ უნდა მოიპოვოს მომხმარებლის გასაგებად გამოხატული თანხმობა ნებისმიერ დამატებით გადასახადზე, მოვაჭრის ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებისთვის შეთანხმებული გასამრჯელოს გარდა. თუ მოვაჭრეს არ მოუპოვებია მომხმარებლის გასაგებად გამოხატული თანხმობა, მაგრამ დასკვნა გამოიტანა სტანდარტული პარამეტრების საშუალებით, რომელთაც მომხმარებელი უარყოფს, რათა თავიდან აიცილოს დამატებითი გადასახადი, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს აღნიშნული გადასახადის ანაზღაურება.	1	9.3	ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრემ მომხმარებლისგან უნდა მიიღოს თანხმობა, ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებისთვის დადგენილი ფასის გარდა, დამატებითი ხარჯების გადახდაზე. თუ მოვაჭრეს არ მიუღია მომხმარებლის მკაფიოდ გამოხატული თანხმობა, მომხმარებელი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მიუხედავად იმისა, რომ მას უარი არ უთქვამს (არ უარუყვია ნაგულისხმევი პარამეტრები) დამატებითი ხარჯების ანაზღაურებაზე.	სშ	
23.1	წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს ადეკვატური და ეფექტური საშუალებების არსებობას, წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.				ას	
23.2	1-ელ პუნქტში მითითებული საშუალებები მოიცავს დებულებებს, რომლის თანახმადაც ერთი ან რამდენიმე შემდეგი ორგანოებიდან მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დადგენილი წესით, სასამართლოებისა და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე, რათა უზრუნველყოს იმ ეროვნული	1 1	30.1 39	ამ კანონის დარღვევის თაობაზე მომხმარებელი უფლებამოსილია მიმართოს კონკურენციის სააგენტოს ან შესაბამისი სფეროს უფლებამოსილ მარეგულირებელს. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ	სშ	

	დებულებების გამოყენება, რომლებსაც წინამდებარე დირექტივა ეროვნულ დებულებებში გადმოაქვს: (a) საჯარო ორგანოები ან მათი წარმომადგენლები; (b) მომხმარებელთა ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნია მომხმარებელთა დაცვის კანონიერი ინტერესები; (c) პროფესიული კავშირები, რომლებსაც გააჩნია მოქმედების კანონიერი ინტერესები.			მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაში, მათ შორის: ა) მონაწილეობა მიიღონ ამ კანონით დადგენილი მომხმარებელთა ჯგუფის უფლებების დარღვევის შემთხვევაში განცხადების მომზადებაში; ბ) ითანამშრომლონ მეწარმეთა გაერთიანებებთან და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან მომხმარებელთა ჯგუფების უფლებების დასაცავად; გ) ხელი შეუწყონ დავის მედიაციის საშუალებით გადაწყვეტას; დ) მონაწილეობა მიიღონ მომხმარებლის ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიებისა და საგანმანათლებო პროგრამების განხორციელებაში.		
24.1	წევრი სახელმწიფოები ადგენენ წესებს ჯარიმებზე, რომელიც ვრცელდება წინამდებარე დირექტივის თანახმად მიღებული ეროვნული დებულებების დარღვევისას და იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად. უზრუნველყოფილი ჯარიმები უნდა იყოს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი.	1	35	1. სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მისი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. 2. იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმდება მოვაჭრე, რომელიც ისეთ დროს არის დაფუძნებული, რომ შეუძლებელია მისი წინა ფინანსური წლის ბრუნვის	სშ	

				დაანგარიშება, ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება მოვაჭრის დაფუძნებიდან მის დაჯარიმებამდე არსებული პერიოდის მიხედვით გამოანგარიშებული ბრუნვიდან. 3. ჯარიმის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა. 4. დარღვევის 12 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მოვაჭრეს დაეკისრება უკვე დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა. 5. ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან. 6. მოვაჭრე ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს ჯარიმის დაკისრებიდან ერთი თვის ვადაში. 7. ჯარიმა გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში. 8. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იგი მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.		
24.2	წევრი სახელმწიფოები აცნობებენ კომისიას აღნიშნული დებულებების შესახებ, არაუგვიანეს 2013 წლის 13 დეკემბრისა და დაუყოვნებლივ				ას	

	ატყობინებენ მას ნებისმიერი შესაბამისი შესწორების თაობაზე.					
25	თუ კანონი, რომელიც ვრცელდება ხელშეკრულებაზე, არის წევრი სახელმწიფოს კანონი, მომხმარებელს არ შეუძლია უარი თქვას ეროვნულ დონეზე არსებული ისეთი ზომების მიერ დაკისრებულ უფლებებზე, რომლებსაც გადმოტანილი აქვს წინამდებარე დირექტივა. ნებისმიერი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უარს აცხადებს წინამდებარე დირექტივიდან გამომდინარე უფლებებზე ან ზღუდავს მათ, არ არის სავალდებულო მომხმარებლისთვის.				ას	
26	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები მომხმარებლებისა და მოვაჭრეების ინფორმირებისთვის, ეროვნულ დებულებებში წინამდებარე დირექტივის გადმოტანის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში წაახალისონ მოვაჭრეები და კოდის მესაკუთრეები, დირექტივის 2005/29/EC მე-2 მუხლის (g) პუნქტის შესაბამისად, გააცნონ მომხმარებლებს საკუთარი ქცევის კოდექსი.				სშ	
27	მომხმარებელი თავისუფლდება ანაზღაურების უზრუნველყოფის მოვალეობისგან საქონლის, წყლის, გაზის, ელექტროენერგიის, ცენტრალური გათბობის ან ციფრული შინაარსის შეუთანხმებელი მიწოდების ან მომსახურების შეუთანხმებელი	1 1	29.1 29.3	ამ მუხლით გათვალისწინებული კომერციული პრაქტიკა ყველა შემთხვევაში მიიჩნევა უსამართლოდ და შესაბამისად, აკრძალულ საქმიანობად. თ) მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ისეთი	სშ	

	უზრუნველყოფის შემთხვევებში, რომელიც აკრძალულია დირექტივის 2005/29/EC მე-5 მუხლის მე-5 პუნქტითა და მისი I დანართის 29-ე პუნქტით. ასეთ შემთხვევებში, აღნიშნული შეუთანხმებელი მიწოდების ან უზრუნველყოფის შემდეგ მომხმარებლის მხრიდან პასუხის არარსებობა არ წარმოადგენს მის თანხმობას.			პროდუქტის მიწოდება, რომელიც მას არ შეუკვეთავს და ამისთვის პროდუქტის საფასურის მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ანაზღაურების მოთხოვნა ან მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მისი შეკვეთისგან განსხვავებული პროდუქტის მიწოდება ამ პროდუქტის მოვაჭრის ხარჯით, პირვანდელი მდგომარეობით დაბრუნების შესაძლებლობის გარეშე.		
28.1	წევრმა სახელმწიფოებმა, წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, უნდა მიიღონ და გამოსცენ კანონმდებლობა, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, არაუგვიანეს 2013 წლის 13 დეკემბრისა. ისინი დაუყოვნებლივ გადასცემენ კომისიას აღნიშნული ზომების ტექსტს საბუთების ფორმით. კომისია იყენებს აღნიშნულ საბუთებს 30-ე მუხლში მითითებული ანგარიშის მიზნებისთვის. ისინი გამოიყენებენ აღნიშნულ ზომებს 2014 წლის 13 ივნისიდან. როდესაც წევრი სახელმწიფოები მიიღებენ აღნიშნულ ზომებს, ისინი უნდა მოიცავდეს მითითებას წინამდებარე დირექტივაზე ან ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში, მათ თან უნდა ერთოდეს აღნიშნული მითითება. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა				ას	

	გადაწყვიტონ როგორ გაკეთდება ასეთი მითითება.					
28.2	წინამდებარე დირექტივის დებულებები ვრცელდება ხელშეკრულებებზე, რომლებიც იდება 2014 წლის 13 ივნისის შემდეგ.				ას	
29.1	როდესაც წევრი სახელმწიფო იყენებს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-6 მუხლის მე-7 პუნქტში, მე-6 მუხლის მე-8 პუნქტში, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტში და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ რომელიმე მარეგულირებელ არჩევანს, ის ამ ფაქტის და ასევე, ნებისმიერი თანმდევი ცვლილების შესახებ აცნობებს კომისიას არაუგვიანეს 2013 წლის 13 დეკემბრისა.				ას	
29.2	კომისია უზრუნველყოფს 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მომხმარებელთა და ბირჟის შუამავალთათვის, მათ შორის, განკუთვნილ ვებგვერდზე.				ას	
29.3	კომისია 1-ელ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას უგზავნის სხვა წევრ სახელმწიფოებსა და ევროპარლამენტს. კომისია აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსულტაციას გადის დაინტერესებულ მხარეებთან.				ას	
30	კომისიამ, არაუგვიანეს 2016 წლის 13 დეკემბრისა, ევროპარლამენტსა და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში წინამდებარე დირექტივის გამოყენების შესახებ. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს განსაკუთრებით ციფრულ შინაარსთან, მათ შორის, ხელშეკრულებიდან გასვლის				ას	

	უფლებასთან დაკავშირებული დირექტივის დებულებების შეფასებას. ანგარიშს, საჭიროების შემთხვევაში, თან უნდა ერთოდეს საკონსტიტუციო წინადადებები წინამდებარე დირექტივის მომხმარებელთა უფლებების სფეროში განხორციელებულ განვითარებასთან ადაპტირების შესახებ.					
31	დირექტივები 85/577/EEC და 97/7/EC, რომლებიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის დირექტივით 2002/65/EC მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ და დირექტივებით 2005/29/EC და 2007/64/EC, ძალადაკარგულად ცხადდება 2014 წლის 13 ივნისიდან. მითითებები გაუქმებულ დირექტივებზე განიმარტება, როგორც მითითება წინამდებარე დირექტივაზე და იკითხება II დანართში განსაზღვრული კორელაციის ცხრილის შესაბამისად.				ას	
32.1	როდესაც წევრი სახელმწიფო, იღებს დებულებებს მე-8 მუხლის შესაბამისად, ის ატყობინებს კომისიას ამის შესახებ, ასევე, ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დებულებები: - ავრცობს უსამართლო ხასიათის შეფასებას ინდივიდუალურად შეთანხმებულ სახელშეკრულებო პირობებზე ან				ას	

	ფასისა და ანაზღაურების შესაბამისობაზე; ან - შეიცავს სახელშეკრულებო პირობების ჩამონათვალს, რომლებიც უსამართლოდ ითვლება,					
32.2	კომისია უზრუნველყოფს 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მომხმარებელთა და ბირჟის შუამავალთათვის, მათ შორის, განკუთვნილ ვებგვერდზე.				ას	
32.3	კომისია 1-ელ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას უგზავნის სხვა წევრ სახელმწიფოებსა და ევროპარლამენტს. კომისია აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსულტაციას გადის დაინტერესებულ მხარეებთან.				ას	
33.1	დირექტივას 1999/44/EC ემატება შემდგომი მუხლი: მუხლი 8a ანგარიშის მოთხოვნები 1. როდესაც, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წევრი სახელმწიფო იღებს მომხმარებელთა დაცვის უფრო მკაცრ დებულებებს, ვიდრე მე-5 მუხლის პირველიდან მე-3 პუნქტებამდე და მე-7 მუხლის 1-ელ პუნქტშია მოცემული, ამის და ასევე, ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ აცნობებს კომისიას.				ას	

33.2	კომისია უზრუნველყოფს 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მომხმარებელთა და ბირჟის შუამავალთათვის, მათ შორის, განკუთვნილ ვებგვერდზე.				ას	
33.3	კომისია 1-ელ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას უგზავნის სხვა წევრ სახელმწიფოებსა და ევროპარლამენტს. კომისია აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსულტაციას გადის დაინტერესებულ მხარეებთან.				ას	
34	წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის მისი ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.				ას	
35	ეს დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.				ას	
დანართი	B. ხელშეკრულებიდან გასვლის ტიპიური ფორმა (შეავსეთ და დააბრუნეთ ეს ფორმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გსურთ ხელშეკრულებიდან გასვლა) - ვის: [მოვაჭრის სახელი და გვარი, გეოგრაფიული მისამართი და არსებობის შემთხვევაში, მისი ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი უნდა მიეთითოს მოვაჭრის გვერდით]: - მე/ჩვენ (1) გატყობინებთ, რომ მე/ჩვენ გავდივარ(თ) შემდეგი საქონლის (*)/შემდეგი მომსახურების მიწოდების (*) ნასყიდობის ხელშეკრულებიდან,	1	დანართი №1	(თუ გსურთ ხელშეკრულებაზე უარის თქმა, შეავსეთ და დააბრუნეთ ეს ფორმა) — მოვაჭრის მიერ მითითებული სახელი, ფაქტობრივი მისამართი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა: — მინდა შემდეგი პროდუქტის ნასყიდობის/მომსახურების ხელშეკრულებაზე უარის თქმა: — შეკვეთის თარიღი: — მიღების თარიღი: — მომხმარებლის სახელი: — მომხმარებლის მისამართი: — მომხმარებლის ხელმოწერა (თუ ფორმა შევსებულია ქაღალდზე): — თარიღი:	სშ	

	- შეკვეთის თარიღი (*)/მიღების თარიღი (*), - მომხმარებლ(ებ)ის სახელი და გვარი - მომხმარებლ(ებ)ის მისამართი - მომხმარებლ(ებ)ის ხელმოწერა (თუ ეს ფორმა წარდგენილია ქაღალდზე) - თარიღი _____ __ (*) წაშალეთ შესაბამისად.					